



K 38.490
2.0V



ც. გალავანი



ლ ვ ი მ ე ა ვ ა
ნ ე დ ე უ დ ი ს
ჩ ა ე ს ა დ ე გ ა
ლ ვ ი მ ი ს
ნ ე რ ე ნ ე -
გ ი ს ა ნ



გ. 862 დ 2 2 9 0 0

რეინოგვავა ნედლეულის ღამზაღება
რეინის ნაჩენებისგან

K 38.490
200



გამოგვიანებულის „საგვოთა საქართველო“

თბილისი — 1970

663.26

6 П 8 . 5

663 . 26

в 333

1 ԸՆՅԵՐ ՀԱՅ 3⁵
2 ՊԵՂՅՈՒՆԻՒԹԻՒՆ



Մոցեմու ցածրացրելուն լվոնու նահանջեթուացան
լվոնոմյացա նեղակայութեա մոլեթու թյժնոլոցուա. լվո-
նու լայնու, կապուա և մաքուացան լվոնոմյացա յալու-
թու մոլեթու մետուացա, ցանցարութեա լվոնու և մեթա-
հյ յօմուաթյունու խարչաւու նորմեթու.



$\frac{14-1}{290-70}$ օգջու

91 93, ԴՐԱ 17 ՎՃ. 115

ღვინომჟავას მიღების ფარო და მისი გამოხევა

ღვინომჟავას წარმოების ძირითადი ნედლეული ყურძნის პროდუქტთა გადამუშავების მონარჩენებია. ვაზი ფოტოსინ-თეზის გზით აგროვებს ნახშირწყლებს. ამ უკანასკნელთა გარ-დაქმნით კი ორგანულ მჟავებს, რომელთა შორის ღვინომჟა-ვას, როგორც რაოდენობით ისე თავისი მნიშვნელობით პირ-ველი ადგილი უჭირავს. ღვინომჟავას რაოდენობა ყურძენში ნაყოფის გამონასკვნიდან თანდათანობით იზრდება და ივლი-სში 1,3—2,0%-მდე აღწევს. ივლისიდან ტექნიკურ სიმწიფემ-დე იგი კლებულობს და 0,5—0,6%-მდე იცემა. ივლისამდე ღვინომჟავა თავისუფალი სახითაა ნაყოფში, აგვისტოდან ტექნიკურ სიმწიფემდე ღვინომჟავის 60—75% იბოჭება ნიადა-გიდან შეწოვილ ტუტემეტალებთან, ძირითადად კალიუმიან და ღვინის ქვის სახით რჩება ყურძნის წვენსა და ყურძნის მე-ქანიკურ ნაწილებში.

ღვინომჟავას საერთო რაოდენობა უფრო დიდია ყურ-ძნის წვენში — 0,4 — 0,6 %. შემდეგ კლერტსა და კანში — 0,1—0,5 % იგი თითქმის არ არის წიპტაში.

ღვინომჟავა უფერული, მჟავე გემოს კრისტალია, რომლის ხვედრითი წონაა 1,7598, მოლეკულური კი 150. მას აქვს 4 იზომერი: მარჯვენა I, მარცხენა e, ყურძნისა და მეზოდვა-ნის მჟავა. მათი ქიმიური შედგენილობა ერთნაირია, განსხვავ-



დებიან ფიზიკური თვისებებით: კრისტალის გარეგნულობები რმით, კრისტალური წყლით, ხსნაღობითა და ღნობში რატურით. აღნიშნულ ოთხ იზომერთაგან ვაზში მხოლოდ მარჯვენა ღვინომჟავაა.

ღვინომჟავას წარმოება ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბით დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საქართველოში ღვინომჟავას წარმოებას საფუძველი ჩაეყარა 1948 წელს, დაარსდა თბილისში ღვინომჟავას ქარხანა, რომელმაც პირველ წელს გამოუშვა 3,5 ტონა პროდუქცია. ამჟამად ქარხანა ყოველწლიურად 200 ტონაზე მეტ ღვინომჟავას ამზადებს. ღვინომჟავა საქართველოდან იგზავნება სხვადასხვა ქვეყნებში.

ღვინომჟავას იყენებენ მეღვინეობის, საკონდიტრო, საფეიქრო, ფარმაცევტულ, ელექტროქიმიურ, ფოტოქიმიურ და სხვა წარმოებაში.

ლეგისგან ღვინოზავა კალციუმის მიღების მეთოდები და საჭირო გიმიკატების რაოდენობის განსაზღვრა

ღვინის ან საფუვრის ლექისგან ღვინომჟავას მიღება შეიძლება მუავური ან ნეიტრალური მეთოდით. ამ მეთოდებს გააჩნიათ დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყვილაზე გავრცელებულია ღვინომჟავას მიღების მუავური მეთოდი, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მინერალური მუავას საჭირო რაოდენობის სწორად გაანგარიშება და მიკემა.

მინერალური მუავეებიდან უპირატესობა აქვს ზარილმჟავას, რაღაც მისი სიჭარბე რეაქციის არეში არ იძლევა უარყოფით

შედეგებს. მარილმჟავას ტრანსპორტირება ძნელია იმის გა-
მო, რომ ინახება მხოლოდ მინის ჭურჭელში, ამიტომ პრაქ-
ტიკაში უშეტესად გოგირდმჟავა გამოიყენება.

გოგირდმჟავას საჭირო რაოდენობას ანგარიშობენ ფირ-
მულით:

$$X = \frac{98 \cdot 100}{150} = 65.$$

98 არის გოგირდმჟავას მოლეკულური წონა, ხოლო 150 ღვინომჟავასი. მაშასადამე, ყოველ 100 კგ ღვინომჟავას უნდა დაემატოს 65 კგ H_2SO_4 100 %-იან გოგირდმჟავაზე გადაან-
გარიშებით. ჩვენი ქარხნები უშვებენ უფრო დაბალი კონცენ-
ტრაციის გოგირდმჟავას: 93 %-იანი აჯასპის ზეთი, 75 %-იანი
გლოვერის ზეთი და 65 %-იანი კონტაქტური ზეთი.

ზემოთ მოცემული ფორმულის მიხედვით, ყოველ კილო-
გრამ ღვინომჟავას უნდა დაემატოს 0,7 კგ აჯასპის ზეთი, 0,9
კგ გლოვერის ზეთი და 1 კგ კონტაქტური ზეთი. ყველაზე
უკითესია აჯასპის ზეთი.

მარილმჟავას გამოყენებისას მისი საჭირო რაოდენობა
ანგარიშება ფორმულით

$$X = \frac{36 \cdot 100}{150} = 24.$$


150 ღვინომჟავას მოლეკულური წონაა, ხოლო 36 მარილ-
მჟავასი. მაშასადამე, ყოველ 100 კგ ღვინომჟავას უნდა დაემა-
ტოს 24 კგ 100 %-იანი მარილმჟავა. გაანგარიშება აქაც იმავე
წესით წარმოებს.

ბუყი მარილმჟავათი გადამუშავდება ცხელ მდგომარეობაში,

სადაც ღვინის ქვის ნაწილი ხსნად მდგომარეობაშია და რეაქციის მსვლელობისათვის ხელსაყრელი არეა შექმნილი. ამასთან, ბუყის განზავებულ არეში რომ შეიქმნას მარილმჟავას ხელსაყრელი კონცენტრაცია, ყოველ 100 კგ ღვინომჟავას ემატება 120 კგ მარილმჟავა, ანუ 1 კგ ღვინომჟავაზე — 1,2 კგ მარილმჟავა.

ნეიტრალიზაციის დროს ხარისხოვანი ნედლეულის მიღებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა ცარცისა და კირის საჭირო რაოდენობის სწორად განსაზღვრა. მათი სიჭარბე მნიშვნელოვნად აუარესებს ღვინომჟავა კილოციუმის ხარისხს.

ცარცის საჭირო რაოდენობას ანგარიშობენ შემდეგი რეაქციით:




ამის საფუძველზე ყოველ 100 კგ ღვინომჟავაზე ადგენერ პროპორციას:

$$150 - 100$$

$$100 - X; \quad X = \frac{100 \cdot 100}{150} = 66 \text{ კგ Ca CO}_3,$$

ე. ი. 100 კგ ღვინომჟავას ესაჭიროება 66 კგ ცარცი. ვინაიდან 100%-იანი ცარცი არ არსებობს, ყოველ 100 კგ ღვინომჟავას უმატებენ 75 კგ Ca CO₃-ს. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ხარისხიც.

კირის საჭირო რაოდენობას ანგარიშობენ ანალოგიურად:



ე. ი. 100 კგ ღვინომჟავაზე საჭიროა:

$$X = \frac{74 \cdot 100}{150} = 50 \text{ კგ კირი. მაგრამ } 100\%-იანი \text{ კირის}$$

არარსებობის გამო ყოველ 100 კგ ღვინომჟავას უმატებენ 55—60 კგ კირს, ხარისხის გათვალისწინებით.

ცარცისა და პირის მომზადება

ცარცი შეიძლება იყოს დაუფხვნელი და დაფხვნილი. ორივე შემთხვევაში საჭიროა მათი წინასწარი მომზადება, ვინაიდან დაფხვნილი ცარციც შეიცავს მსხვილ ნაწილაკებს, რაც ნეიტრალიზაციის დროს გაუხსნელი რჩება და ილექტა ღვინომჟავა კალციუმთან ერთად.

ორივე სახის ცარცს შემდეგნაირად ამზადებენ: ჭურჭელში, რომელშიც მექანიკური ამრევია მოწყობილი, ასხამენ ჩვეულებრივ სასმელ წყალს, აცხელებენ აღუღებამდე, რთავენ ამრევს და ყრიან ცარცს იმ რაოდენობით, რომ წყალში გახსნის შემდეგ მიღებულ იქნეს თხევადი ხსნარი. არევის პერიოდში ხსნარი რომ არ გაცივდეს, აცხელებენ ორთქლით. ამრევის ბრუნთა რიცხვი წუთში უნდა იყოს 60 და მეტი. 6—8 საათი საკმარისია, რომ ცარცი მაქსიმალურად გაიხსნას წყალში. ამის შემდეგ ხსნარს ატარებენ ლითონის საცერში, რომელსაც ჭურჭელში დასალექად აჩერებენ 6—8 საათს, შემდეგ სუფთა ხსნარს მოხსნან სიფონით. მიღებული ცომისებრი სქელი მასა გამოიყენება ნეიტრალიზაციისათვის.

ასეთი წესით ცარცის წინასწარი მომზადების უპირატესობა ის არის, რომ თავიდანაა აცილებული დაუშლილი ცარცის გა-



შოყუინებით გამოწვეული სიჭარბე და ნაკლები წყალი გამოწვეული განვითარებული ხსნარს ნეიტრალიზაციის დროს, რითაც გასანებტრალებელი ხსნარი არ განზავდება. ეს კი მაღალხარისხოვანი ღვინო-მჟავა კალციუმის მიღების ერთ-ერთი პირობაა.

კირის გამოყინებისას აუცილებელია მისი წინასწარი მომზადება. 1 წილ კირს განაზავებენ 4 წილ წყალში, წურავენ ლითონის სუფთა საცერტში. მიღებულ სქილ მასას იყენებენ ნეტრალიზაციისათვის.

ღვინის ლექის დახასიათება და მისი ჟანახვის პირობები

ღვინის ლექი მშრალი მასის შემცველობის მიხედვით არის თხელი, სქელი და ცომძსებრი. ღვინის პირველი გადაღების შემდეგ ჭურჭელში დარჩენილი მასა თხელი ლექია და 5—10%-მდე მშრალ მასას შეიცავს, ხოლო იმავე თხელი ლექისგან რამდენიმე ხნის შემდეგ თავზე ზოყენებული ღვინის მოხსნისას დარჩენილ მასას უწოდებენ სქელ ლექს, რომელ შიც მშრალი მასა 10—20%-მდეა.

ცომისებრი ლექი მიიღება ხელოვნური გამოწურვით სითხის გამოცლის შემდეგ, რომელიც 40—50 %-მდე მშრალ ნივთიერებას შეიცავს.

თხელ ლექში სპირტის კონცენტრაცია დაახლოებით უდრის ღვინის სიმაგრის 80%-ს, ხოლო სქელ, ანუ გამოწენილ ლექში 3—4%-ს.

წითელი ღვინის ლექი ნაკლებ მდიდარია ღვინომჟავა შე-



ნაერთებით, რადგან ალკოჰოლური დუღილის პროცესში მოშობილი ღვინის ქვა ილექტბა ჭაჭასთან ერთად.

ღვინომჟავა თხელ ლექში აღწევს 2—3%-ს, ხოლო სქელ ლექში ზოგჯერ 3—4%-ს. ღვინის გაწებვის შემდეგ მიღებული ლექის გამოყენება ღვინომჟავის ნედლეულად დაუშვებელია, რადგან იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ცილოვან ნივთიერებას და ფოსფორმჟავა მარილებს, რაც იძლევა ხელსაყრელ პირობებს იმ მიკროორგანიზმების განვითარებისათვის, რომელებიც პირველ რიგში შლიან და ანადგურებენ ღვინომჟავას შენაერთებს. გარდა ამისა, აძნელებს ფილტრაციას, ახანგრძლივებს დალექვას და ამით ართულებს ღვინომჟავა ნედლეულის მიღების პროცესს, ღვინის გაწებვის შემდეგ მიღებული ლექიდან შეიძლება მხოლოდ ტიქნიკური სპირტის მიღება.

ლექს თუ მაცივარ-კამერაში გავატარებთ, ღვინომჟავას კონცენტრაცია 35—40%-ს მიაღწევს. ასეთი ლექი საუკეთესო მასალაა ღვინისქვის გამოკრისტალებისა და დალექვისათვის.

ყურძნის წვენის შემაგრების შემდეგ მიღებულ ნარჩენს ეწოდება, ტკბილი ლექი, რომელშიც გამოიყოფა ღვინის ქვა, ვინაიდან წვენს დუღილის პროცესი არ გაუვლია, მასში 1—ფურის უჯრედანა მცირეა, რის გამოც ლექი უფრო სუფთაა და მდიდარია ღვინის ქვით. ასეთი ლექი ღვინომჟავას შეიცავს 5—8%-მდე და მდიდარია შაქრით. იგი საუკეთესო ხარისხს მასალაა ღვინომჟავა ნედლეულის მისაღებად. მისი არევა, სხვა ლექში მიზანშეუწონელია.

ქვევრებსა და ცემენტის ბუტებში ღვინის შენახვისას ღვინის ქვა ნაკლებად გამოკრისტალდება კედლებზე, მით უმეტეს მინით გამოფენილ ცემენტის ბუტებში, იგი უმეტესად ილაქება ჭურჭლის ძირზე.




ტკბილი ლექი, რადგან დიდი რაოდენობით შეიცავს მასში ნივთიერებებს, ადვილად იფარება ბრკით. მიუწერდა მასში ალკოჰოლის არსებობისა, ღვინომჟავას შენაერთები სწრაფად იშლება. ხელსაყრელ პირობებში მიკროორგანიზმები თვით სპირტსაც კი შლიან ძმარმჟავად და ნახშირორგანგაღ, რომლის შემცირების გამო ლექში ადვილად გითარდება ღვინომჟავას დამშლელი მიკროორგანიზმები, რის შედეგად მისი შემცველობა მინიმუმამდე დადის. ამიტომ ლექი უნდა ინახებოდეს კასრებში, ცივ ადგილას და თვეში ერთხელ უნდა შეიცვლოს ლექით.

დღემდე ზოგიერთ ქარხანაში კვლავ აწარმოებენ ღვინის ლექის გამოწურვა-დაწნეხვას და მის გახმობას ღვინომჟავა ნედლეულისათვის. ეს წესი უარყოფითია, რადგან გახმობისას ლექში არსებული სპირტი მთლიანად იკარგება. ამის თავიდან აცილების მიზნით ღვინის ლექი ჯერ უნდა გამოიხადოს და შემდეგ დამზადდეს ღვინომჟავა კალციუმის მარილი, რომელიც ძირითადი ნედლეულია ღვინომჟავას წარმოებისათვის.

ლექის გამონახადი გუშის გადამუშავება

ლექის გამოხდის შემდეგ ცხელი ბუყი თვითდინებით ან გადატუმბვით გადააქვთ დეკანტატორში მოცულობის ერთ მესამედამდე. ქვაბიდან უშუალოდ დეკანტატორში ბუყის გადატანისას ტემპერატურის გასინჯვა საჭირო არაა, ხოლო ქვაბიდან ჯერ მიმღებსა და შემდეგ დეკანტატორში გადატუმბვისას კი აუცილებელია, რადგან მისი ტემპერატურა არ უნდა იყოს $65-70^{\circ}$ -ზე ნაკლები.

ბუყის გოგირდმჟავათი დამუშავებისას მიმღინარეობს ზე-
 მდეგი რეაქცია:



როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში მიიღება თავისუფა-
 ლი ლვინომჟავა, გოგირდმჟავა კალიუმის ხსნადი მარილი და
 უხსნადი თაბაშირი.

ინდიკატორი მეთილვიოლეტი გოგირდმჟავას ზედმეტობას
 გვიჩვენებს მხოლოდ სქელ ხსნარებში, ხოლო მეტისმეტად გა-
 ნხავებულ ხსნარებში, როგორიცაა ლექის გამონახადი ბუყი,
 მის ზედმეტობას არ გვიჩვენებს. ამის გამო რეაქციის დამთავ-
 რებას მეთილვიოლეტით არ ვამოწმებთ. გოგირდმჟავას ზედ-
 მეტობისას მიიღება ამორფული ლვინომჟავა კალციუმის მარი-
 ლი, რომელიც ცუდად ილექტი და გაპყვება გადასალვრელ
 ხსნარს. ეს რომ თავიდან ავიკილოთ, გოგირდმჟავა უნდა ჟა-
 ვუმატოთ ბუყში არსებული ლვინომჟავას რაოდენობის მიხე-
 დვით და არა მეთილვიოლეტის ჩვენებით.

ვინაიდან ყველა კასრი ლვინომჟავას ერთი და იგივე რაო-
 დენობით არ შეიცავს და ცალკეული კასრებს მიხედვით ანა-
 ლიზის ჩატარება რთულია, ამიტომ სიმჟავის ოდენობად ვი-
 ღებთ მათ საშუალოს, რაც არ იწვევს დიდ ცდომილებას. სა-
 სურველია, რომ თითოეული პარტიის ლექის გადამუშავები-
 სას ჩატარდეს ქიმიური ანალიზი ლვინომჟავას შემცველობის
 დასადგენად.

იმისათვის, რომ სწორად ვიანგარიშოთ დასამატებელი მი-
 ნერალური მჟავას ოდენობა, უნდა ვიცოდეთ გადასამუშავები-
 ბლად რამდენი ტონა გამოხდილი ლექის ბუყია გადატანილი

დეკანტატორში. მაგალითად, თუ დეკანტატორში გადატარდება 3 ტონა თხელი ლექის ბუყი, 2,5 % ღვინომჟავას შემცველობით, მაშინ დეკანტატორში გვექნება $75 \text{ კგ} \times 0,7 = 52,5 \text{ კგ}$. ზემო აღნიშნულის მიხედვით 1 კგ ღვინომჟავას დასჭირდება:

93 %-იანი გოგირდმჟავა $0,7 \text{ კგ} \times 0,7 = 52,5 \text{ კგ}$.

75%-იანი გლოვერის — $75 \times 0,9 = 67,5 \text{ კგ}$,

65%-იანი კამერული — $75 \times 1 = 75 \text{ კგ}$.

თუ ლექი მუშავდება მარილმჟავათი, მაშინ 32 %-იანი მარილმჟავა დასჭირდება $75 \times 1,2 = 90 \text{ კგ}$ ნედლეულში სხვა შენაკრთხების დაშლაზე მინირალური მჟავა ეძლევა 2—3%-იამეტი.

მჟავათი დამუშავებულ მქაში ხსნარისა და მექანიკურ ძინარეთა ხევდრითი წონა თითქმის თანაბარია. უკით დასაწილო მაღალ საჭიროა გავზარდოთ მათ შორის სხვაობა, რისთვისაც უნდა დაემატოს განარეცხი მეორე სუფთა ხსნარი და არა წყალი ამრევის განუწყვეტილი მუშაობის დროს, დეკანტატორის შევსებამდე. შემდეგ ვაჩერებთ ამრევს და დასაწილომად ვაყოფნებთ 20—24 საათს.

მუშაობის დაწყებისას ორი ან სამი დატვირთვა შეიცსება სუფთა წყლით, რითაც შეიქმნება სამი სახის ხსნარი დეკანტატორებში გადამუშავებული მასის გასარეცხად.

ბუყით დატვირთული დეკანტატორი შეიცსება მეორე ხსნარით და მიიღება პირველი ხსნარი, რომელიც განეიტრალდება 20—24 საათის დაყოვნების შემდეგ. დარჩენილ ნალექს დაესხმება მესამე ხსნარი და მიიღება მეორე ხსნარი, რომელიც იხმარება ახლად დატვირთული დეკანტატორის შესავსებად. მეორე ხსნარის მოხსნის შემდეგ დაესხმება



სუფთა წყალი და მიიღება მესამე ხსნარი, რომ მოხსნის შემდეგ გადასაღვრელი მასა უნდა შეიცავდეს მკერდის არა უმეტეს 0,1—0,2% მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში პალავ წყლით უნდა გაირეცხოს. დახელოვნებული მომუშავე გეზო-თიც შეატყობს, დარჩენილ მასას სჭირდება თუ არა დამატებით გარეცხვა.

გასანეიტრალებლად დეკანტატორიდან უნდა მოიხსნას სუფთა ხსნარი, რადგან მღვრიე ხსნარის განეიტრალებისას მიიღება ამორფული და უხარისხო ღვინომჟავა კალციუმი. მეორე და მესამე ხსნარიც სუფთა უნდა იყოს, რათა მღვრიე ხსნარის მოხსნით და დასხმით არ გაიზარდოს ხვედრითი წონა და არ გაუარესდეს მათი შემდგომი დაწდომა.

პირველი ხსნარის მოხსნის შემდეგ ნალექში რჩება მჟავას 36%, მეორე ხსნარის მოხსნის შემდეგ კი 13%, ხოლო მესამე ხსნარის მოხსნის შემდეგ 5%. აღნიშნული ციფრები მიახლოებითია და იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიხსნა 1-ლი, მე-2 და მე-3 ხსნარები.


ჩვენი მიზანია, აღნიშნული ხსნარები რაც შეიძლება სუფთად და მეტი რაოდენობით მოვხსნათ.

ვთქვათ, გამოსახდელი ღვინომჟავას შეიცავს 2%-მდე. მაშინ ტონა ღვინები იქნება 20 კგ ღვინომჟავა. ასეთი ღვიქის ბუყის მინერალური მჟავათი დამუშავებაშა და დაწდომის შემდეგ მოხსნილი 1-ლი ხსნარი შეიცავს 64% დატვირთულ მჟავას, ანუ $\frac{20 \cdot 64}{100} = 13$ კგ. ნალექში რჩება დატვირთუ-

ლი მჟავას 36% ანუ $\frac{20 \cdot 36}{100} = 7$ კგ. მეორე ხსნარის მოხსნის შემდეგ ნალექში რჩება დატვირთული მჟავას 13%



ლუქის გამონახვადი ბუკის გადაძებულების ცეკვის ლოგიკური და მართვის პრინციპები



$$\text{ანუ } \frac{20 \cdot 13}{100} = 2,6 \text{ კგ. ხოლო როცა მესამე } \quad \text{სსხარს}$$

მოვხსნით, ნალექში რჩება დატვირთული მუავას 5 % ანუ

$$\frac{20 \cdot 5}{100} = 1 \text{ კგ. შემდგომი გარეცხვა დადებით შედეგს}$$

არ მოგვცემს, რადგან გამოიწვევს ხსნარების ზედმეტად განზავებას, რითაც შემცირდება გამოსავლიანობა. მუავათი ლეჭის დამუშავების შემდეგ მიიღება ხსნარი, რომელშიც ღვინო-მუავა შენაერთებთან ერთად არის საფუვრის მკვდარი უჯრედანები, თიხა და სხვა. მათი მოცილება წარმოებს დაწყომით, რომლის ხანგრძლიობა დამოკიდებულია მინარევთა სიღიდეზე, სიმკვრივესა და წებვადობაზე. რაც უფრო დიდი სხვაობაა ხსნარის სიმკვრივესა და მინარევის სიმკვრივეს შორის, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს დაწყომა. საფუვრის უჯრედანას ხვედრითი წონაა 1, 18, ხსნარისა — 1,05 — 1,1. მათი სიმკვრივეთა სხვაობა ძალიან მცირეა და დაწყომის პროცენტი ელა მიმდინარეობს.

დაწყომის დასაჩქარებლად ხსნარსა და მინარევს შორის ვაღიდებთ სიმკვრივის სხვაობას სამმაგი ცხელი წყლის დასხმით. დაწყომის დაჩქარებას ხელს უწყობს მაღალი ტემპერატურა, ამ დროს დაწებოიანება ნაკლებია. დაწყომის პროცენტი ხსნარის გაცხელება არ შეიძლება, რადგან ნაწილ აკები ისევ ამოტივტივდება. თუ დამწყომში სუფთა ხსნარის მოხსნის შემდეგ დარჩა მისი მოცულობის 50%, ხოლო მაგარი ნივთიერება მასში 10%-მდეა, დარჩენილი ღვინომუავას შენაერთები 45 %-ს მიაღწევს, სუფთა ხსნარს კი გაჰყვება ღვინომუავას შენაერთი 55%-ის ოდენობით.



დეკანტატორში ხსნარის გარეცხვის დამთავრება შედგება ასეთი წესითაც: ბოლო განარეცხი ხსნარიდან აიღება 100 მლ, რომლის განეიტრალებაზე არ უნდა დაიხარჯოს 6 მლ-ზე მეტი ნატრიუმის ტუტის დეცინორმალური ხსნარი. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ წყლით უნდა გაირეცხოს.

ყოველი დატვირთვის წინ დეკანტატორი სუფთა წყლით ირეცხება, რომ ძირზე ნალექი არ დარჩეს. თუ ნალექი მთლიანად არ მოსცილდა, ახალი პარტიის დატვირთვისას გაიზრდება ხსნარის ხვედრითი წონა და შემდგომი დაწლომაც მოხდება არასასურველი ოდენობით. დეკანტატორს თვეში ერთხელ უნდა გაუკითდეს სტერილიზაცია მდუღარე წყლით და გარედან გაირეცხოს კირისა და ქლორინი წყლის ნაზავით. თუ დეკანტატორი ხისაა, მის ნაპრალებში, ძირსა და გვერდებზე ჩნდება ობი, რასაც ნაადრევად გამოყავს მწყობრიდან. ამიტომ დეკანტატორი სამ თვეში ერთხელ გარედან უნდა შეიღებოს.

დეკანტატორში შეყვანილია ორთქლისა და წყლის მილები, ჩაღვეულია მექანიკური ამრევი, პროპელერის მსგავსი ფრთით, რომლის ფრთა ჩანის ძირიდან დაშორებულია 25—30 სმ-ით, ძირზე აქვს გასაშვები ონკანი. დეკანტატორების ტევადობა 10-ჯერ მეტი უნდა იყოს დღე-ღამეში გამოსახდელი ლექის რაოდენობაზე. ის გამოსახდელ ქვაბთან ახლოს და ქვემოთ უნდა იდგეს, რათა ბუყი თვითდინებით გადავიდეს ქვაბიდან დეკანტატორში.

ნეიტრალიზატორის რაოდენობა 3-ჯერ ნაკლები უნდა იყოს დეკანტატორებთან შედარებით. იგი უნდა იდგის დეკანტორის ერთი მესამედი სიმაღლის დონეზე, რათა დეკანტატორიდან ხსნარი თვითდინებით გადავიდეს ნეიტრალიზატორში. განეიტრალებული მასის ღასაყოვნებლად საჭიროა ნეიტრა-



ლიზატორის ორი მესამედი ტევადობის მქონე ჭურჭელებით
მლის სიმაღლე სასურველია იყოს 80. სმ, ხოლო სტერილუს
ნე 2X2 ზე. სამტრესტის საწარმოო კომბინატში გამოყენებუ-
ლია რკინის ჭურჭლები, რომლებიც 15-17 წელია მუშაობენ შე-
უკეთებლად. ერთ ნეიტრალიზატორზე საჭიროა ორი ასეთი ჭუ-
რჭელი. მიღებული ღვინომჟავა კალციუმის გასარეცხად საჭირ-
ოა ცენტრიფუგა, რომელსაც შეუძლია 7 საათის განშავლობა-
ში გაატაროს ღვინომჟავა კალციუმი 600—700 კგ-ის ოდენობით.
ცენტრიფუგასთან მიყვანილი უნდა იყოს წყალი ღვინომჟავა
კალციუმის გასარეცხად. ცენტრიფუგაში ჩაიყრება 4—5
გედრო ღვინომჟავა კალციუმი, რომლის გარეცხვაზე იხარჯება
25—30 ლიტრი წყალი. ამ ოპერაციის შესრულებას სჭირდება
20—25 წუთი.

„სამტრესტის“ თბილისის საწარმოო კომბინატში მ. ზაუ-
რაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს საკლეილი სამუ-
შაოები, რათა ლექტი დეკანტატორში დაწყობის ნაკვლად გა-
იფილტროს სეპარატორში. თუ ამ ცდამ კარგი შედეგი მოგვ-
ცა, შემოკლდება და გაუმჯობესდება ლექტის ტექნოლოგიური
პროცესი, სახელდობრ, შესაძლებელი გახდება მისი გადამუშა-
ვება ნეიტრალური მეთოდით, რომელსაც მჟაურ მეთოდთა
შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს.

ნეიტრალიზაცია


როცა გარჭვირვალე ხსნარის დონე დეკანტატორში მიაღ-
წევს მთელი ხსნარის მოცულობის 60—70%-ს, ე. ი. მის ორ
მესამედს, დეკანტატორიდან ხსნარი სიფონით გადაგვაქვს ნე-
იტრალიზატორში. თუ დეკანტატორიდან ხსნარის სიფონით
მოხსნა არ ხერხდება, მაშინ ხსნარს ჭერ მიმღებში მოვხსნოთ



სიფონით, ხოლო შემდეგ გადავტუმბავთ ნეიტრალიზატორს შეცვალეთ და დაუშვებელია.

ნეიტრალიზაციისას ხსნარის ტემპერატურა უნდა იყოს 60—70°, ამრევის ბრუნთა რიცხვი წუთში — 60. ხსნარს ანეტრალებენ ცარცით ან კირით. უკეთეს შედეგს იძლევა ცარცი. მისი უპირატესობა ის არის, რომ ღვინომჟავასთან რეაქციაში შესვლისას გამოყოფს CO_2 -ს. ამ შემთხვევაში ხსნარის ზედაპირზე გამოიყოფა ქაფი. ცარცის შემდგომი დამატებისას, როცა რეაქცია დასასრულს უახლოვდება, ქაფის გამოყოფა მცირდება, რაც იმის ნიშანია, რომ საჭირო აღარ არის ცარცის დამატება.


ცარცის დამატებისას აღგილი აქვს შემდეგ რეაქციას:



მიიღება ღვინომჟავა კალციუმის მარილი, წყალი და ნახშირორჟანგი.

კირის დამატებისას ქაფი არ წარმოიშობა. ამის გამო რეაქციის დამთავრების ეს ერთი მაჩვენებელი გამოთიშულია.

კირთან რეაქცია შემდეგნაირად მიმდინარეობს:



ცარცით ან კირით ხსნარის განეიტრალებისას რეაქციის მიახლოებითი დასასრული შეიძლება განისაზღვროს ფერის შეცვლითაც. რეაქციის მსვლელობის დასაწყისში ხსნარს აქვს დამახასიათებელი გამჭვირვალე ფერი, რომელიც ცარცის დამატების შედეგად თანდათანობით გადადის ჯერ ღია, შემდეგ აშკარა ნაცრის ფერში, ხოლო ბოლოს შავ ფერში. რეაქციის ზუსტად დამთავრებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ იმ მომენტის დაჭრა, როდესაც ხსნარი ღებულობს აშკარა ნაცრის



თერს. გამსაკუთრებით კირით დამუშავების ღროს დამთავრებას ვამოწმებთ კონგრს ქალალდით. სასინჯ ხსნარი წყირით ვაწვეთებთ ფილტრის ქალალდზე. თუ კირი ან ცარცა ზედმეტია, ქალალდი ფერს არ იცვლის, როცა აკლია შავი, ხოლო როცა საქმაოა, ოდნავ მუქწითლად შეიღებება. ჩვენი კის დამთავრებისას ვტოვით ოდნავ მუჟავი არებს, რაც ხარს ხიანი ღვინომჟავა კალციუმის მარილის მიღების აუცილებელი პირობაა.

გასანეიტრალებელი ხსნარი გადაგვაქვს ნეიტრალიზატორ ში მისი მოცულობის 2/3-მდე, რათა ცარცის დამატებისას გამოყოფილი CO_2 -ის შედეგად წარმოშობილი ქაფი არ გადმოიღვაროს.


ცარცის გამოყენების უპირატესობა აგრეთვი ის არის, რომ, კირისაგან განსხვავებით, მისი ზედმეტობის ღროს ღვინომჟავასთან არ წარმოიქმნება რკინისა და ალუმინის უხსნადი შენაერთები, რომლებიც ილექტბა კირმჟაგასთან ერთად და ზრდის ღვინომჟავა კალციუმის მარილის დანაგვიანების კონფიდენციალურობის, ეს, შემდგომი გადამუშავების პროცესში, იწვევს ღვინომჟავა პროდუქტის ხარისხის გაუარესებას და ზრდის დანაკარგებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ კირი დავუმატეთ ტუტერებიამდე, ღვინომჟავასთან ერთად დაილექტბა რიგი მაგნეტუნაერთებისა, რომლებიც გააუარესებს ღვინომჟავა კალციუმის ხარისხს. ამ ღროს ახალი გასანეიტრალებელი ხსნარი დამატება უშედეგოა, რადგან რკინისა და ალუმინის უხსნადი შენაერთები არ იშლება და ღვინომჟავა კალციუმთან ერთაურება ნალექში.


რადგან ღვინომჟავა კალციუმი მცირე რაოდენობით იხსნება



წყალში, სუსტი ხსნარების ნეიტრალიზაციისას ადგილი გადამცველი დიდ დანაკარგს, რის გამოც მეორე და მესამე ხსნარს ვიყენებთ გასარეცხად და არა გასანეიტრალებლად. რაც უფრო მაგარია ხსნარები, შიო უფრო კლებულობს ღვინომჟავა კალციუმის ხსნადობა და მატულობს გამოსავლიანობა. ნეიტრალიზაციის დასაწყისში მჟავე არეში წარმოიძობა ღვინომჟავა კალციუმის მჟავე მარილი.



ღვინომჟავა კალციუმის მჟავე მარილი ადვილად ხსნადია და ნალექში არ გამოიყოფა. ცარცის მომდევნო დამატებით კი გადაღის ღვინომჟავა კალციუმის სანუალო მარილში, რომელიც ძნელად ხსნადია და გამოიყოფა ნალექში.



ამიტომ სასურველია დამთავრებულ რეაქციას ჰქონდეს ნეიტრალური ხასიათი ან მასში ცარცი იყოს ოდნავ მეტი—0,5 % მდე. კირის ზედმეტობა კი დასაშვები არ არის.

თუ პირველადი მეღვინეობის ქარხნებმა ღვინომჟავა კალციუმის დამზადებისას გამოიყენეს კირი ზედმეტი რაოდენობით, მაშინ ნედლეული დანაგვიანდება რკინისა და ალუმინის უხსნადი შენაერთობით (ამიტომ ღვინომჟავა წარმოებაში ასეთი ნედლეულის უშუალოდ გამოყენება მიუხედავად იმისა, რომ მასში ღვინომჟავას შემცველობა შესაძლოა ნორმალური იყოს, მაინც არასასურველია). ამის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ნედლეულის ხელმეორედ გადამუშავება. მას წყალთან ერთად გახსნიან ნეიტრალიზატორში (ტემპერატურა 60—70°), ამრევის განუწყვეტილი მუშაობისას უმატებენ გოგირდმჟავას, მჟავე რეაქციამდე, ე. ი. ნაწილი ღვინომჟავა კალციუმისა გო-




გირდმუავას მოქმედებით დაიშლება და ხსნარში აღმდეგად მუშაობა ნომერავა, რომელსაც შევამოწმებთ კონგოს ქალალდით. სასინჯი ხსნარის წვეთი, გადატანილი კონგოს ქალალდზე, უნდა ჩდლეოდეს ოდნავ მუქ წითელ ფერს, რაც იმას ნიშნავს, რომ ღვინომერავა კალციუმის მცირე ნაწილი დაიშალა და ხსნარში წარმოიშვა ღვინომერავა. ამ დროს გოგირდმუავას მოქმედებით რკინისა და ალუმინის უხსნადი შენაერთები, რომლებიც აგრეთვე ღვინომერავა კალციუმთან დაილექა, იშლება და გადადის ბსნად მდგომარეობაში, ხოლო ხსნადში წარმოშობილი ღვინომერავა რომ არ დაკარგოთ, მას ისევ გავანეიტრალებთ ცარცით და არა კირით. აქაც რეაქციის დაბოლოებას ვამოწმებთ კონგოს ქალალდით. უხარისხო ნედლეულში შეიძლება შოყოლოლი იყოს ღვინის ჭვა, რომელსაც რეაქციაში შესასვლელად, ვუმატებთ CaCl_2 -ს; მისი საქმარისობა მოწმდება მუაუნმერავა ამონიუმით. რეაქციის დამთავრების შემდეგ მასას ჩამოვასხამთ დასალექ ჭურჭელში, დავყოვნებთ 3—4 საათით შემდეგ ხსნარს მოვხსნით და გადავღვრით დამჭერი ჭურჭლით, ღვინომერავა კალციუმს კი ჩვეულებრივ გავრეცხავთ ცენტრიფუგაში და გავაშრობთ.

ამ სამუშაოს შესასრულებლად იხირჭება ზედმეტი შრომა ქიმიკატები და, რაც მთავარია, ორგეცდება დანაკარგები. ამიტომ სასურველია ნეიტრალიზაცია ჩავატაროთ ცარცით და არა კირით.

ღვინომერავა კალციუმის გარეცხვა და შრობა

განეიტრალებულ ხსნარს რეზერვუარში ღვინომერავა კალციუმის დასალექად ვაყოვნებთ 3—4 საათს. თუ დეკანტატორიდან გასანეიტრალებლად შემთხვევით გადმოტანილია

მღვრიე ხსნარი, მაშინ რეზერვუარში დასალობის დროისათვის უნდა დაყოვნდეს არა უმეტეს 1—2 საათს, რათა საფუ-
ვრის ლექმა, გაყოლილმა უკრედანამ და სხვა მოყოლილ-
მა მექანიკურმა მინარევებმა ვერ მოასწრონ დალექვა
ღვინომჟავა კალციუმთან ერთად. დამლექ რეზერ-
ვუარში ღვინომჟავა კალციუმი უკეთ რომ დაილექოს, სასურ-
ველია დავასხათ ცივი წყალი და ასე დაყოვნდეს 3—4 საათს.
ასეთ პირობებში შედარებით ამორფული ღვინომჟავა კალციუ-
მის მარილიც უკეთ გამოიყოფა ხსნარიდან და დაილექება.




ღვინომჟავა კალციუმის კრისტალები

ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებული ღვინომჟავა კალ-
ციუმი შეიცავს ხსნად მინარევებს: ქლორიდებს, კალციუმისა და
ნატრიუმის სულფატებს, რკინისა და ალუმინის შენაერთებს,
სალებავს და სხვა მექანიკურ მინარევებს. ეს მავნე შენაერთე-
ბი, ღვინომჟავა ხსნარებში რომ არ მოხვდეს, კარგად უნდა
გაირეცხოს წყლით. 3—4 საათის შემდეგ ხსნარს მოვხსნოთ



სიცონით და გადავლერით დამჭერი ჰურტლით. ნიშანმომქმნელი მოყოფილ ღვინომჟავა კალციუმს ვრეცხავთ ცენტრიფუგაში რომელსაც შიგნიდან გამოკრული ქვეს ფილტრის ქსოვილი ცენტრიფუგაში ვასხამთ 4—5 ვედრო მასას და ვამუშავებთ სითხის გამოცლამდე, შემდეგ 2—3-ჯერ ვრეცხავთ წყლით. ცენტრიფუგას გამოვთიშავთ მაშინ, როცა წყლის დენა შეწყდება. ამოვილებთ ღვინომჟავა კალციუმს რომელიც სინკ. სტეს 20—25%-მდე შეიცავს, და გადაგვაქვს ხელოვნურ საშ. რობში, სადაც ტემპერატურა 100°-მდე უნდა იყოს. მზეზე შრობა დაუშვებელია.




ცენტრიფუგი

თუ საწარმოში ცენტრიფუგა არ არის, ღვინომჟავა კალციუმს ვრეცხავთ დამლექ რეზერვუარში, ვასხამთ წყალს და ხელის ამრევით კარგად გურივთ. დასალექად ვაყოვნებთ 3—4



საათს. შემდეგ ხსნარს სიფონით მოვხსნით და გადავღია დამჭერი ჭურჭლით, ასე გავიმეორებთ 4—5-ჯერ.

ასეთი წესით გარეცხვას აქვს შემდეგი უარყოფითი მხარე— ები: ღვინომჟავა კალციუმი 1000 წილ ცივ წყალში იხსნება 0,42 წილი, ხოლო 1000 წილ ცხელ წყალში იხსნება 2,19 წილი. ამის გამო გარეცხვისას შესაძლოა აღგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დანაკარგს; 4—5-ჯერ გარეცხვას სჭირდება 20—25 საათი; ყოველ მოხსნისას ხსნარს შესაძლოა გაჰყვეს ღვინოსჟავა.



ღოლიანი ვაკუუმ-ფილტრი

ეს კალციუმი; ჭურჭელში არევა წარმოებს ხელის ამრევით, რაც მეტისმეტად შრომატევადია; თუ ფენა სქელია, მისი ხელით არევა ქვედა ფენამდე შეუძლებელია. ამიტომ გაურეცხავი რჩება; ვინაიდან რეცხვის პროცესი ხანგრძლივია, შესაძლოა დაიწყოს ბაქტერიული დუღილი, რომლის დროსაც მცირებული ზომის კრისტალები არ დაილექტირდა და ხსნარს გაჰყვიბა.





ქარხნებში, რომლებიც დიდი რაოდენობით ღია ფართოების და ლექს, ღვინომჟავა კალციუმის გასარეცხად უმჯობესია დაიდგის დოლიანი ვაკუუმ-ფილტრი, რომელიც ნაკლებ შრომატევადია, ვიდრე ცენტრიფუგა და გამტარუნარიანობაც მეტი აქცნ, ხოლო პირველადი მეღვინეობის ქარხნებში, რომლებიც დიდ რაოდენობით არ აძლევავებენ ლექს, შოხერხებული და საცხებ ბით საკმარისია ცენტრიფუგა.

ლიტერატურაში ცნობილია ღვინომჟავა კალციუმის გარე-ცხვა ნუჩფილტრით. თბილისის ღვინომჟავას ქარხანაში ვაწარმოებდით ღვინომჟავა კალციუმის გარეცხვას ნუჩფილტრ ბით. მაგრამ ძალიან ცუდი შედეგი მოგვცა, რის გამოც გარეცხვის ამ წესმა მნიშვნელობა დაკარგა და ამჟამად არსად არ იყენებენ.


ლეგისგან ღვინოშავა კალციუმის მიღება ნეიტრალური მეთოდით



სპირტის გამოხდის წინ ყოველ კილოგრამ ღვინომჟავაზე ლექს ემატება 0,7 კგ სოდა. ბუყის დუღილისას ღვინომჟავა კალციუმი გადაღის ხსნად მდგომარეობაში:



გამოხდილი ბუყი გადაგვაჭვს დამწლომ ჭურჭელში, სადაც ვაყოვნებთ *20—24 საათს. შემდეგ მოვხსნით სუფთა ხსნარს და გადავიტანთ ნეიტრალიზატორში. ლექიდან გამონახად ყოველ 1 ტონა ბუყს ვამატებთ 14 კგ ქლორკალიუმს.

სოფლის მეთოდით ლუქისგან ლვინძეავა კალიჭუმის მიღების
სექტორობიური სქემა





ნეიტრალიზატორიდან ხსნარი გადაგვაქვს დასალექ ჰურსტ-ლში, ვაყოვნებთ 3—4 საათს. შემდეგ ხსნარს გადავღვროთ, ხოლო დალექილ ღვინომჟავა კალციუმს ჩვეულებრივ გავრცეხავთ ცენტრიფუგაში და გადავიტანთ საშრობში.

სოდის საშუალებით ლექის დამუშავებისას ადგილი აქვთ ორ უარყოფით გარემოებას, გამოსახდელ ქვაბში სოდის დამატებისას გამოიყოფა CO_2 (ნახშირორჟანგი), რის შედეგადაც სპირტის ხედლეული ჭუჭყიანდება. ამის თავიდან აცილება შეიძლება თუ გამოსახდელ ქვაბში სოდას დავუმატებთ სპირტის გამოხდის შემდეგ და დამატებით ვაღლება 15—20 წუთს. ამ შემთხვევაში დროში ვაგებთ, მაგრამ, სამაგიეროდ ვიღებთ სუფთა სპირტის ნედლეულს. მეორე უარყოფითი გარემოება ისაა, რომ სოდით დამუშავების შემდეგ ხსნარს 15—20 საათს ვაყოვნებთ დაწდომისათვის. აქედან ხსნარი მოიხსნება 60—70 %-ის ოდენბით და გროვდება ნეიტრალიზატორში, ხოლო ნალექში დარჩენილი მასა, რომელიც გაუღენთილია ღვინომჟავა ხსნადი შენაერთებით, რჩება აუთვისებელი და იკარგება ნალექის გადაღვრისას. ამის თავიდან ასაცილებლად ნალექში დარჩენილ მასა ერთხელ მაინც უნდა გაირეცხოს წყლით. გარეცხვისას მასა უნდა დავაყოვნოთ 15—20 საათს დაწდომისათვის, რის შედეგადაც სუფთა ხსნარი მოიხსნება. განარეცხვი ხი ხსნარი შეიძლება გავანეიტრალით იმავე წესით — ქლორკალციუმითა და ცარცით, ხოლო თუ სუსტია დავუმატოთ ახალ პარტიას.


ლვინომჟავა კალციუმის მიღება ხელი ლექისგან

თხელი ლექისგან განსხვავებით, ხმელ ლექში ლვინომჟავა გვხვდება არა თავისუფალი, არამედ კალიუმისა და კალციუმის შენაერთების, ძირითადად ლვინომჟავა კალიუმის შენაერთების სახით.


ჩვენი მიზანია მინერალური მედიცინური მეცნიერებით ლვინომჟავას ორივე შენაერთი, აგრეთვე სხვა მავნე შენაერთები გადაკიყვანოთ ხსნად მდგომარეობაში; ხსნარების ნეიტრალიზაციისას კი ლვინომჟავა უნდა გარდავჭმნათ შედარებით უხსნად ლვინომჟავა კალციუმის მარილად და სხვა შენაერთები დავტოვოთ ხსნად მდგომარეობაში, რის შესაძლებლობასაც იძლევა ნეიტრალიზაციის პროცესის სწორად ჩატარება.

ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებულ ლვინომჟავა კალციუმს გავრცხავთ და გავაშრობთ.

გოგირდმჟავას მოქმედებით ადგილი აქვს შემდგა რეაქციას:





რეაქციის შედეგად მივიღეთ ლვინომჟავა და გოგირდმჟავა კალიუმის ხსნადი მარილი:




აქაც იგივე ლვინომჟავა მივიღეთ თავისუფალი სახით და უხსნადი თაბაშირი.

მარილმჟავას გამოყენებისას გვაქვს შემდეგი რეაქცია:



ხმელთა კუნძულებას დაინობება კალციუმის მიღების ფაქტოლოგიური ჩართვები.





აღნიშნული რეაქციების შედეგად მივიღეთ თავისუფლებისა და კალციუმისა და კალციუმისა მონორიანი შენაერთები.

ხმელი ლექი ჩვეულებრივი ქვის წისქვილით უნდა დაფუქ-
ვათ 0,5 მმ-მდე. 1 მ ტიამეტრის მქონე ქვით საათში იფენიბა
300—400 კგ ხმელი ლექი.

დეკანტატორში წინასწარ მესამედის მოცულობამდე ვას-
ხამთ პირველ განარეცხ ხსნარს, რომელსაც ვაცხელებთ
70—80°-მდე. შემდეგ ვრთავთ ამრეცხს და ვყრით წინასწარ
აწონილ დაფქვილ ლექს მისი მოცულობის 10—12 %-ს.

ამრეცხის ბრუნთა რიცხვი წუთში 60-ზე მეტი უნდა იყოს.
ამრეცხის ფრთხის სიმაღლე სასურველია იყოს 35 სმ. თუ ფრთა
დაბალია, დაწდომის შემდეგ მოყვიბა ნალექში და გაძნელ-
დება მისი ამუშავება.

ამრეცხის 1-1,5 საათის მუშაობის შემდეგ, როცა მასა კურ-
გად გაიხსნება, დაემატება გოგირდმჟავა, ან მარილმჟავა.
ხმელი ლექის გადამუშავებისას რეაქციის დამთავრებას ვა-
მოწმებთ მეთილვიოლეტით.

თუ მარილმჟავა ზედმეტი ოდენობით დავუმატეთ, ნეი-
ტრალიზაციისას მაინც არ წარმოიშობა თაბაშირი, რაც
უარყოფითად მოქმედებს მიღებულ ღვინომჟავა კალციუმის
ხარისხზე, და რეაქციაში მთლიანად შედის ნედლეულში არსე-
ბული ღვინომჟავა შენაერთები. გოგირდმჟავას გამოყენებისას
კი დიდ სიფრთხილეს ვიჩენთ. მაგალითად, თუ დაიტვირთა
1000 კგ და ის 24 %-იანია, მასში იქნება 240 კგ ღვინომჟავა, რო-
მელსაც დასჭირდება 240X0,7=168 კგ გოგირდმჟავა, რომლის
საქმარისობა ამჯერად მოწმდება მეთილვიოლეტით. იღებენ წი-
ნასწარ მომზადებულ მეთილვიოლეტის ხსნარს, გადაიტანენ



ფილტრის ქაღალდზე და წყირით წაუსვამენ გადაჭრის შემთხვევაში ხსნარს. თუ წასმის ადგილზე მეთილვიოლეტმა ფერი არ შეიცვალა ეს ნიშნავს, რომ აკლია გოგირდმუავა. თუ მეთილვიოლეტის ფერი ოდნავ შეიცვალა, მაშინ გოგირდმუავა საკმაო ოდენობით დაგვიმატებია. ხოლო თუ აშკარა მტრედისფერი გადავიდა, გოგირდმუავას დამატება უნდა შეცწყვიტოთ და მცირე ოდენობით დავუმატოთ ხმელი ლექი გადასამუშავებელ მასას. 15-20 წუთით არევის შემდეგ ისევ ვამოწმებომ მეთილვიოლეტით.

რეაქციის დამთავრების შემდეგ დეკანტატორი ამრევს შეცწყვიტებით მუშაობისას შეივსება განარეცხი ხსნარით სასურველია შევსების შემდეგ ხსნარს ჰქონდეს $70-80^{\circ}$ ტემპერატურა, დაწლომისათვის დაყოვნების პროცესში დაუშვებელია მისი გაცხელება. მაღალი ტემპერატურა ამცირებს წებოვნებას და დაწლომაც უკეთესად მიმდინარეობს. შევსების შემდეგ ამრევს გამოვთიშავთ და 20—24 საათს ვაყონებთ დეკანტაციისათვის.

როცა გადასამუშავებელ ხმელ ლექს აქვს ობის ნიშნები დეკანტატორში ტემპერატურა ისე უნდა გავზარდოთ, რომ ხსნარი ადულდეს, რითაც მოისპობა მიკროორგანიზმები. 20—24 საათით დაყოვნების შემდეგ სუფთა ხსნარი სიფონით გადაგვაქვს ნეიტრალიზატორში. თუ განლაგება ამის საშუალებას არ გვაძლევს, მაშინ ხსნარი გადაგვაქვს ჯერ მიმღებში შემდეგ კი ტუმბოთი ნეიტრალიზატორში. როცა ნედლეულ კარგი ხარისხისაა, მაშინ მოიხსნება სუფთა გასანეიტრალუიზელი ხსნარის ორი მესამედი, ხოლო ერთი მესამედი ნალექში დარჩება.



პირველი სსნარის მოხსნის შემდეგ დაისხმება მეორე განარეცხი სსნარი, შემდეგ მესამე განარეცხი სსნარი, რომელიც მესამე განარეცხი სსნარი მოიხსნება უნდა დავასრხათ სუფთა წყალი, რომლის მოხსნის შემდეგ ნალექი უნდა გადაიღვაროს. თუ გარეცხვის ყველა პროცესი წესიერად არ წარიმართა, გარეცხვა 4—5-ჯერ უნდა ჩატარდეს. უკეთ დაწდომისათვის დეკანტატორის შევსებისას სსნარის ტემპერატურა უმჯობესია იყოს $60—70^{\circ}$. ყოველი გარეცხვისას ამრეგი მუშაობს შექმნებამდე.

გარეცხვის დამთავრებას ამოწმებენ შემდეგი წესით: ბოლო განარეცხი სსნარის მოხსნისას აიღებენ 100 მლ გადასაღრელ სსნარს. რომლის განეიტრალებაზე ნატრიუმის ტუტის დეცინორმალური სსნარი არ უნდა დაიხარჯოს 6—8 მლ-ზე მეტი. თუ მეტი დაიხარჯა, კვლავ უნდა გაირეცხოს.

დეკანტატორის დატვირთვა-გადამუშავებაზე საჭირო ღრო ნაწილდება შემდეგნაირად:

1. დეკანტატორის მომზადებას დასატვირთად სჭირდება 2 საათი
2. დაფქვილი ლექის დატვირთვას . . . 30 წუთი
3. ამრევის მუშაობას დაფქვილი მასის გასახსნელად 1—1,5 საათი
4. რეაქციის დამთავრებას შესწორებით 1—1,5 „
5. დეკანტატორის შევსებას პირველი სსნარით განარეცხი 1—1,5 „
6. დაყოვნებას დეკანტაციისათვის 20—24 „
7. სსნარის მოხსნას გასანეიტრალებლად 1—1, 5 „
8. პირველ გარეცხვას და მეორე განარეცხი სსნარით შევსებას 1—1, 5 „

9. დაყოვნებას დეკანტაციისათვის		
10. მეორე გარეცხვას, დაწმომას და მესამე განარეცხი ხსნარით შევ- სებას	15—20	"
11. მესამე გარეცხვას, დაწმომას და მეოთხე განარეცხი ხსნარით შევ- სებას	15—20	"
12. მეოთხე გარეცხვას, დაწმომას და სუფთა წყლით შევსებას	15—20	"
13. ნალექის გაშვებას კანალიზაციაში და დეკანტატორის გარეცხვას სულ საჭიროა 93—120 საათი.	1—1, 5	"
ნორჩალური მუშაობის პირობებში დეკანტატორი გარება ცლება 4—5. დღეში ერთხელ, რაც დეკანტაციის უარყოფით მხარეს წარმოადგინს. მაგრამ გადამუშავებული მასა ძნელ ლად იფილტრება და ამიტომ დეკანტაციის მეთოდი მისამართ ლებად უნდა ჩაითვალოს. ამ დროს გამორიცხულია ფილტრების სების, გასაფილტრი ქსოვილისა და ამასთან დაკავშირებულ ზედმეტი მუშახელის საჭიროება.		

ნეიტრალური მეთოდით ხმელი ლექის გადამუშავება მიმდევად დანაკარგებს და აჩქარებს ტექნოლოგიურ ციკლს წარმოებაში არ დაინერგა.

როგორც ცნობილია, ღვინომჟავა ნედლეულში არის ცოდნული შენაერთები და კალიუმის მარილები, რომლებშიც
ადვილად ვითარდება ობი და ღვინომჟავას სხვა დამშლელ გადატრონებანიზმები. *Penicillium glaucum* და *Penicillium talarazophitorum* ეს უკანასკნელი მთლიანად სპობს ღვინოს ნომჟავას.

ლვინომჟავა კალციუმის გარეცხვისას საყურადღებოა ლვინო-
მჟავა კალციუმი დაწდომისათვის ჩამოისხმება დამწდომ რე-
ზერვუარში, სადაც დაყოვნდება 3—4 საათით. საერთოდ.
კრისტალური ლვინომჟავა კალციუმი ილექტება ადრე, ხოლო
მოყოლილი მავნე შენაერთები და მექანიკური მინარევი --
უფრო გვიან. ამის გამო ის შავი სქელი საფარის სახით დაი-
ლექტება ზედა ფენაში. თუ ამ მდგომარეობაში ლვინომჟავა
კალციუმი გასარეცხად გავატარეთ ცენტრიფუგაში, განმეო-
რდება იგივე პროცესი. ცენტრიფუგის ამუშავებისას კრის-
ტალური ლვინომჟავა კალციუმი პირველი განაწილდება
ცენტრიფუგის ბარაბანის კიდლებზე, ხოლო მის ზედაფენას
დაფარავს მოყოლილი შავი ფერის მასა, რომელიც წებო-
ვნების გამო წყალს თითქმის არ ატარებს და ლვინომჟავა
კალციუმის მარილი, რაგინდ დიდი ოდენობით არ უნდა
მიგვშვათ წყალი, გაურეცხავი რჩება. ასეთი ნედლეული
დაბალი ხარისხისაა და დანაგვიანების კოეფიციენტი მაღა-
ლია. ამის თავიდან აცილების მიზნით ნეიტრალიზაციის შე-
მდეგ დასაწდომად 1—1,5 საათით უნდა დავაყოვნოთ, სანამ
წებოვანი ამორფული მასა ლვინომჟავა კალციუმთან ერ-
თად დაილექტებოდეს. ამ პირობებში მიიღება მაღალი ხარის-
ხისა და დაბალი დანაგვიანების კოეფიციენტის მქონე ნე-
დლეული.

დამწდომი რეზერვუარიდან ხსნარის ადრე გადაღვრა,
მოყოლილი წებოვანი მინარევის მოცილების მიზნით, უ-
ძუ- არ გაზრდის დანაკარგებს, რაღაც გადაღვრილი ხსნარი
გაივლის დამჭერ ჭურჭელში და გაყოლილი ამორფული ლვი-
ნომჟავა კალციუმის ნაწილი იქ დაილექტება, რომელიც შეგ-



როვების შემდეგ კვლავ გადაიტანება დეკანტატურა და ლექციების დატვირთვის დროს.

დამწიფომი რეზერვუარიდან ხსნარის გადაღვრის შემდეგ აღვინომჟავა კალციუმის ზედაპირს თუ შერჩა დალექილი შეკვი მასა, უმჯობესია მოვაცილოთ, ცალკე შევაგროვოთ და ასე გავრეცხოთ ღვინომჟავა კალციუმი. შევროვილი მასა კერძომელიც ნაწილობრივ შეიცავს ღვინომჟავა შენაერთებს უმჯობესია გადავიტანოთ დეკანტატორში ახლად დატვირთულ ციუმის მიღებისას ადგილი აქვს ასეთსავე მდგომარეობა ზემოაღწერილი წესით უნდა ვისარგებლოთ.

პაჭის დახასიათება და მისი უნახვის პირობები

განვიხილოთ ჭაჭა სპირტისა და ღვინომჟავას შემცველობის მიხედვით.

ჭაჭა, საშუალოდ, ყურძნის 15% -ს შეადგენს, რომელშიც კლერტი $3-7\%$ -მდეა, ჩენჩო — $9-11\%$ -მდე, ხოლო წიქი $2-6\%$ -მდე.

მეღვინეობაში ჭაჭა იყოფა ორ ნაწილად: სპირტიან წითელი ღვინის ჭაჭად და უსპირტო ანუ თეთრი ღვინის ჭაჭად. კახური ტიპის თეთრი ღვინის ჭაჭა სპირტიან ჯგუფ მიეკუთვნება.

წითელი ღვინის დაყენებისას ღვინო $7-12$ დღემდე დუღ ჭაჭაზე, რის გამო დუღილის პროცესში წარმოშობილი სპირტი ხელს უწყობს ღვინის ქვის გამოკრისტალებას, რომელი

ილექტაბა ჭაჭასთან ერთად. ამის გამო წითელი ღვინისა კახური ტიპის თეთრი ღვინის ჭაჭა ორჯერ ძლიდარია ღვინო-
მეავა შენაერთებით, ვიდრე თეთრი ღვინის ჭაჭა.

თეთრი ღვინის ჭაჭა ყურძნის დაწნეხვისთანავე ცილდება
წვენს, რომელსაც ჯერ არ განუცდია დუღილი და შეიცავს
შაქარს. მას უწოდებენ შაქრიან ჭაჭას. ამასთან, რაღაც ჭაჭა
არ მოხვედრილა ღვინის დუღილის არეში, სადაც წარმოშო-
ბილი სპირტი ხელს უწყობს ღვინის ქვის გამოკრისტალებას
და მის გამოლექვას ჭაჭასთან ერთად, ამდენად თეთრი ღვინის
ჭაჭა შედარებით ღარიბია ღვინომჟავა შენაერთებით; მასში
ღვინომჟავა შენაერთები დაახლოებით ნახევარია იმ რაოდე-
ნობისა, რასაც შეიცავს წითელი ჭაჭა. წითელი ღვინის ჭაჭა-
ში ღვინომჟავა საშუალოდ 1—1,3 %-მდეა, თეთრი ღვინის
ჭაჭაში კი — 0,5 — 1 %-მდე.


ჭაჭაში ღვინომჟავას შემცველობაზე გავლენას ახდენს აგ-
რეთვე ყურძნის დაწნეხის პირობები. ხრახნიანი და ჰიდრავ-
ლიკური წნევებიდან მიღებულ ჭაჭაში მეტი ოდენობითაა
ღვინომჟავა, ვიდრე იმ ჭაჭაში, რომელიც მიიღება განუწყვე-
ტელი მოქმედების წნევიდან. ასეთი ჭაჭა 30—40 %-ით ნაკ-
ლებ ღვინომჟავა შენაერთებს შეიცავს. ამას ადასტურებს ის
გარემოებაც, რომ ხრახნიანი და ჰიდრავლიკური წნევებიდან
მიღებული ჭაჭის ბუყს ორჯერ მეტი ოდენობით უნდა დაემა-
ტოს ქიმიკურები: ქლორკალციუმი (CaCl_2) და ცარცი (CaCO_3),
ვიდრე იმ ჭაჭის ბუყს, რომელიც მიიღება განუწყვეტელი
მოქმედების წნევიდან.

წითელი ღვინის სპირტიანი ჭაჭის ხანგრძლივი შენახვისას
კლებულობს სპირტიანობა და ღვინომჟავას შემცველობაც.
ამიტომ სასურველია, დაწნეხვისთანავე მისგან გამოიხადოს



სპირტი და გადამუშავდეს ღვინომჟავის წედლების მიზანთ
ლებად. გასათვალისწინებელია, რომ მისი შენახვა დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან, როგორიცაა: ხარჯები საცავები
მოსაწყობად, ჭაჭის ჩაყრისა და ამოლების სამუშაოთა შესას
რულებლად და სხვ. რაც შეეხება თეთრი ღვინის ჭაჭას, რად
გან შაქარს შეიცავს; უნდა დადულდეს და შემდეგ გადამუშავდეს. ჭაჭის შესანახ საცავებად იყენებენ მიწაში ამოჭრილ
აგურით ამოშენებულ და ცემენტით შელესილ ორმოებს, რომ
ლის მოცულობაა 10—12 მ³, სიგანე—2,5 მ, სიგანე—2 მ
სიმაღლე—2,5 მ. საცავის თავი მიწის ზედაპირიდან 20—25 სმ-ით
მაღლა უნდა იყოს, რათა წყალმა არ ჩააღწიოს. მან
ზანშეწონილი არაა დიდი საცავების გაკეთება, რადგა
თუ დაგვიანდა მათი გაცლა პარტან შეხების გამო, ჭაჭა და
იწყებს დაობებას, რის შედეგად შემცირდება სპირტისა დ
მჟავას გამოსავლიანობა. საცავები უნდა მოეწყოს ყურძნი
გადამუშავების ახლოს. როგორც კი დაიწნეხება, ჭაჭა 3—
საათის განმავლობაში უნდა შევინახოთ.

ჭაჭის შესანახად იყენებენ ხის კოდებსაც, რომლებიც არ
საიმედოა, რადგან ჭურჭლის ნაპრალებიდან შესაძლოა ჭაჭა
პარტი შეეხოს და ამის გამო დაობდეს. უკიდურეს შემთხვევა
ში საჭიროა კოდის კედლების ნაპრალებზე წაესვას თხა. ყველა
სახეობის საცავი უნდა გადაიხუროს. საერთოდ, საცავები
ში ჭაჭა ინახება ძალიან დატკეპნილი, 1 მ³ საცავში უნდა მო
თავსდეს 850—900 კგ. ჭაჭა იყრება თანდათანობით დ
იტკეპნება ფენებად. საცავს, შევსების შემდეგ, დაწყობე
ფიცრებს ან დააყრიან თივას, რომელსაც გადაგლესე
15—20 სმ სისქის თხით და, გაშრობის თავიდან აცილები
მიზნით, აყრიან 15—20 სმ სისქის სილას. უმჯობესია ტოლი



ჭაჭის სატკეპნი

დაფარება, რომელსაც იმავე წესით გადაგლესენ თიხით და დააყრიან სილას.

ჭაჭა ინახება მშრალად. შენახვის ხანგრძლივობაა 1—1,5 თვე. საცავში ჭაჭა იწყებს დუღილს. მისი ტემპერატურა და-საწყისში გალალია, დუღილის დასასრულსკი კლებულობს და ჭაჭაც დაბლა იწევს. ცუდად დატკეპნილმა ჭაჭამ შესაძლოა 15—20 სმ-თაც დაიწიოს. ამიტომ ჭაჭის საცავები სის-ტემპურად უნდა შემოწმდეს, რათა არ მოხდეს ჰაერაცია და არ დაიწყოს მიკრობიოლოგიური პროცესები — დაობება და სხვა. ამ შემთხვევაში ნაპრალები თიხით ამოივსება და გასწორდება.



შენახვის შემდეგ ჭაჭის ღულილის დაწყების სიჩქარეს შემოკიდებულია შემდეგ პირობებზე: 1. ცხელ ომინდში შენახული ჭაჭა მალე იწყებს ღულილს, 2. ჩრდილო რაიონებში და ცივ ომინდში შენახული ჭაჭა გვიან იწყებს ღულილს ამიტომ მისი შენახვა ღილის საათებში მიზანშეწონილია. ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში, რა დღან სპირტის და ღვინომჟავას გამოსავლიანობა ბევრადა დამოკიდებული ჭაჭის კარგად შენახვაზე.

კარგად შენახულ ჭაჭის საცავის გახსნისას უნდა ჰქონდეს 1. სპირტის სუნი, 2. თეთრი ღვინის ჭაჭის — მომწვანო-მოყვითალო ფერი, 3. ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს გარემოს ტემპერატურას. მაღალი ტემპერატურა მაჩვენებელია იმისა, რომ დაიწყო მიკრობიოლოგიური პროცესები, 4. უნდა იყოს მშრალი (სისველე გაფუჭების მომასწავებელია) 5. არ უნდა ჰქონდეს ძმრის დამახასიათებელი სუნი, რა წარმოიშობა. სპირტის შემცირების ხარჯზე. თუ გასინჯვისა ჭაჭის აღმოაჩნდა დეფექტები, მაგრამ სპირტის სუნი მაინტენის, იგი სწრაფად უნდა გამოიხადოს, 6. არ უნდა ჰქონდეს ნიშნები. თუ დაობება ინტენსიურია, მისგან არც სპირტი და არც ღვინომჟავა ნედლეული არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ თეთრი ღვინის ჭაჭის არ შევინახავთ დაწნეხვისთანავე, მაშინ უნდა გადავიტანოთ აუზებში ბუდავუმატოთ 24° -იანი წყალი და საფუვრის წმინდა კულტურა. ასეთ პირობებში ჭაჭა, რადგან შაქარს მცირე რაოდენობით შეიცავს, 3—4 დღეში დაამთავრებს ღულილს და მაშინვე უნდა გადამუშავდეს. ასეთი ჭაჭა ბევრად უკეთესია, ვიღრე საცავებში შენახული. თუ შენახვა მაინც აუცილებელია, მაშინ სასურველია გადამუშავება დამთავრდეს ნოემბერ-დეკემბერში.

ჭაჭაში მუავე ღვინომჟავა კალიუმის მარილი $KHC_4H_4O_6$ მთელი მუავას 80—97 %-ის რაოდენობითაა, ხოლო ღვინომჟავა კალციუმის მარილი $CaC_4H_4O_6$ — 3—20 %-მდე.

ყურძნის წვენის დუღილის დროს ღვინომჟავას 2—3 % იხარჯება საფუვრის კვებაზე.


ყურძნის მტევანში ღვინომჟავა ძ აღწევს 0,41—0,42 %-მდე. ღვინოში კი რჩება ყურძნის წონის 0,28 %-მდე.

ცდებით დადასტურებულია, რომ ტონა გადამუშავებულ ყურძნის ჭაჭაში, კლერტსა და ნალექში რჩება 1,3—1,4 კგ. ღვინომჟავა. თეთრი ღვინის წარმოებისას ღვინომჟავა შენაერთებითან ჭაჭაში გადადის დაახლოებით ერთი მესამედი — 32—33 %, წითელი ღვინის წარმოებისას კი — 40—45 %, ხოლო დანარჩენი 55—60 % რჩება ლექში. ამიტომაა, რომ თეთრი ღვინის ლექი, წითელი ღვინის ლექთან შედარებით, უფრო მდიდარია ღვინომჟავა შენაერთებით.

ზულის სისტემის უარყოფითი მოქმედება და მისი თავიდან აცილება

ჭაჭიდან ღვინომჟავა კალციუმის მიღებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახმარ წყალს.

ზედმეტად ხისტი წყლის გამოყენებისას, მიუხედავად ყოველგვარი პირობების დაცვისა, შესაძლოა სრულებით ვერ მივიღოთ ღვინომჟავა კალციუმის მარილი. წყლის სიხისტის მოქმედება ღვინის ქვაზე ჩანს შემდეგი რეაქციიდან:



ქ. ი. ღვინის ქვის ნაწილი გამოილექება ღვინომჟაფრულცად ზის მარილის სახით და ბუყში ღვინის ქვა იმდენად მცირ ოდენობით რჩება, რომ ქლორკალციუმითა და ცარცით მის შემდგომი დამუშავებისას ღვინომჟავა კალციუმის მარილ აღარ გამოილექება, ანდა გამოილექება მცირე რაოდენობი და ისიც ამორფული.

მაშასადამე, საჭიროა წყლის შერბილება, რათა თავიდა ვიცილოთ წყლის სიხისტის უარყოფითი შედეგები.

1. წყლის შერბილება შეიძლება მინერალური მჟავათი, 1 სიხისტის დასაწევად ყოველ 100 ლ დასასხმელ წყალს სჭირდება 1 გ გოგირდმჟავა. მაგალითად, თუ წყლის სიხისტე 20 ია, ყოველ 100 ლ წყალს დასჭირდება 20 გ გოგირდმჟავა ხოლო ტონა წყალს 200 გ;

სიზუსტისათვის უნდა ვიცოდეთ წყლის სიხისტის გრადუსი. ტონა წყალზე ამატებენ 0,5—0,6 კგ გოგირდმჟავას. წესის უარყოფითი მხარე ის არის, რომ გოგირდმჟავას ზედ მეტობისას მიიღება თაბაშირი, სადაც წარმოიშობა ამორფული ღვინომჟავა კალციუმი, რომელიც ძნელად ილექება და გადასაღვრელ ხსნარს გაჰყვება;

2. თუ გვეცოდინება წყლის სიხისტის გრადუსი, ცალხის ჭურჭელში შეიძლება გოგირდმჟავით შევარბილოთ სამარი წყალი და შემდეგ გადავიტანოთ გამოსახდელ ქვაბზაჭე დასასხმელად (მიზანშეწონილი არ არის გოგირდმჟვას შეტანა სიმჟავის არაგამძლე ქვაბებში).

3. უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუ გამოსახდელ ქვაბზაჭეს დავასხამთ გამოხდილ წყალს. სამტრესტის საწარმო კომპინატში ამ გზით კარგი შედეგი მივიღეთ.

წყლის სიხისტის განსაზღვრა

სიხისტის მიხედვით წყალი იყოფა 3 ჯვლფაზ:

1. 30° ფრანგული სიხისტის მქონე წყალი გამოიყენება სასმელად, სარეცხად და ღვინომჟავა ნედლეულის წარმოებაში;
2. $30-60^{\circ}$ სიხისტისა არ გამოდგება ოჯახისათვის, ხოლო შემუავებული წესით დამუშავებული იხმარება ორთქლის ქვაბებისა და ღვინომჟავა ნედლეულის წარმოებაში;
3. წყალი, რომლის სიხისტე 60° -ს აჭარბებს, ღვინომჟავა ნედლეულის წარმოებაშიც არ გამოდგება.

უკეთესია ის წყალი, რომელსაც ნაკლები ნალექი აქვს. ამის დასაღვენად წყლის ნიმუშებს თანაბარი მოცულობით ასხამენ კოლბებში, აღულებენ $15-20$ წუთს და აყოვნებენ ნალექის გამოსაყოფად.



წყლის ქიმიური შედგენილობა დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე. იმის გამო, რომ ნიადაგში დიდად გავრცელებულია კალციუმი, მაგნიუმი და განსაკუთრებით, მათი მარილების აღვილად ხსნადი ბიკარბონატები. ამ მეტალების შემაღენლობა წყალში ჩვეულებრივზე მეტია. მათს რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყლის ტექნიკურ თვისებათა შეფასებისას.

წლის სიხისტეში გულისხმობენ მასში შემავალ CaSO_4 -ისა და MgSO_4 -ის მარილებს და მათ ნახშირმჟავა მარილებს $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$ და $\text{Mg}(\text{HCO}_3)_2$.

სიხისტე არის ორგვარი: აცილებადი და მუდმივი. აცილებადი განისაზღვრება კალციუმისა და მაგნიუმის ორმაგ ნახშირმჟავა მარილებით $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$ და $\text{Mg}(\text{HCO}_3)_2$. ეს მარილები დუღილის დროს გადადიან კარბონატებში, რის



შედეგად წყლის სიხისტე კლებულობს. მაგალითად, $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$ დუღილისას იშლება კალციუმის კარბონატად, წყლად და ნახ. შირორუანგად. ასევე მაგნიუმის ორმაგი ნახშირმჟავა მარილიც იშლება მაგნიუმის კარბონატად, წყლად და ნახშიროჟანგად.



მუდმივი სიხისტე განისაზღვრება კალციუმისა და მაგნიუმის მარილებით (CaSO_4 , MgSO_4), რომლებიც დუღილის დროს უცვლელი რჩებიან.

სიხისტეს გამოხატავენ ფრანგულ და გერმანულ გრადუსებში. ფრანგული წარმოადგენს CaCO_3 -ის რაოდენობრივ გამოხატულებას $\text{g}/100$ ლ წყალში, ხოლო გერმანულ CaO -ს გამოხატულებას $\text{g}/100$ ლ წყალში.

იმის გამო, რომ კალციუმის მარილები ნიადაგში დიდ რაოდენობითაა, ხოლო მაგნიუმის მარილები მცირე, წყლის სიხისტეს ანგარიშობენ მხოლოდ კალციუმის მარილების როდენობის მიხედვით.

აცილებადი სიხისტე განისაზღვრება შემდეგი წესით:

100 მლ გამოსაკვლევ წყალს ტიტრავენ მარილმჟავა დეცნორმალური ხსნარით და მეთილორანჟის თანხლებით. 1 სმ² დკინორმალური მარილმჟავა HCl შეეფარდება 0,005 გ CaCO_3 -თუ 100 მლ წყალზე დაიხარჯა 2,8 მლ მარილმჟავას დეცნორმალური ხსნარი, მაშინ $2,8 \times 0,005 = 0,014$ გ CaCO_3 . 100 მლ-ში, 1 ლიტრში იქნება 10-ჯერ მეტი ანუ 0,14 გ, ხოლო 100 ლ-ში იქნება 100-ჯერ მეტი, ანუ 14 გ, ე. ი. ამ შემთხვევაში წყლის სიხისტე უდრის 14 ფრანგულ გრადუსს.



შუდმივ სიხისტეს ანგარიშობენ შემდეგნაირად: 100 გამოსაკვლევ წყალს უმატებენ 25 მლ სოდის დეცინორმალურ ხსნარს და ოორთქლებენ ფაიფურის ჯამზე გაშრობამდე. ნალექს ფილტრავენ და რეცხავენ ცხელი წყლით, რომელიც არ შეიცავს CO_2 -ს. ფილტრატში ზედმეტ სოდას ტიტრავენ მარილმჟავათი. მაგალითად, 100 მლ გამოსაკვლევ წყალს უმატებენ 25 მლ სოდის დეცინორმალურ ხსნარს ($K=0,9873$) ვთქვათ, ზედმეტი სოდის გატიტვრაზე დაიხარჯა 22,1 მლ მარილმჟავას დეცინორმალური ხსნარი. თუ აღნიშნულ მონაცემებს ჩავსვამთ განტოლებაში, მივიღებთ: $25 \times 0,9873 - 22,1 = 2,58$ მლ, სადაც 25 მლ დახარჯული სოდის დეცინორმალური ხსნარია, $0,9873 - \text{მისი კოეფიციენტი}$, ხოლო 22,1 მლ სოდის გატიტვრაზე დახარჯული მარილმჟავას დეცინორმალური ხსნარი. როგორც ვიცით, 1 მლ მარილმჟავას დეცინორმალური ხსნარი შეეფარდება $0,005$ გ CaCO_3 -ს, მაშინ $0,005 \times 2,58 = 0,0129$ გ CaCO_3 -ს 100 მლ-ში. აქედან 100 ლიტრში იქნება 1000-ჯერ მეტი — 12,9 გ, ანუ 12,9 ფრანგული გრადუსი.

წყლის ზერბილება იონმცვლელი ფისებით

წყლის შერბილება იონმცვლელი ფისებით სამტრესტის საწარმოო კომბინატში დაამუშავა მ. ზაუტაშვილმა, რაც დიდი მიღწევაა. მისი გაკეთება შეიძლება ყველა საწარმოში, რადგან არ საჭიროებს რთულ დანადგარებს და, აგრეთვე, მისი მომსახურებაც შეუძლია ყველა გამოცდილ მომუშავეს.

იონმცვლელი ფისების გამოყენებისას წყლის სიხისტის



გრადუსის წინასწარი ცოდნა არ არის საჭირო; ჭაჭატკავშირი შევების პროცესში წყლის სიხისტით გამოწვეულ უქსების უარყოფით შედეგსაც ავიცდენთ.

წყლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრა

ჭაჭატკავის ღვინომჟავა ნედლეულის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრას, რადგან მეტი წყალი გამოიწვევს ბუყის კონცენტრაციის შემცირებას, ხოლო ზედმეტად განზავებული ხსნარებიდან, მათი ნეიტრალიზაციის დროს, ღვინომჟავა კალციუმი მიიღება ამორფული და მცირე ოდენობით, რომელიც ცუდად იღება და გაპყვება ხსნარს გადაღვრისას, ამიტომ ზუსტად უნდა ვიცოდეთ ჭაჭაზე დასასხმელი საჭირო წყლის რაოდენობა.

სავალდებულო არაა ქვაბში ჩაყრილი ჭაჭა დაიფაროს წყლით, რადგან მასში ორთქლი შეყვანილია ლიად, რომლის კონდენსაციის შედეგად გაიზრდება წყლის რაოდენობა: წყლის რაოდენობის განსაზღვრა უნდა დავუკავშიროთ ჭაჭაში არსებული ღვინის ქვის მთლიანად გახსნის საჭიროებას: მით უმეტეს, რომ ვიცით ღვინის ქვის ხსნადობის თავისებურება განსაზღვრულ ტემპერატურაზე. აგრეთვე უნდა ვიცოდეთ ტონა ჭაჭაში ღვინის ქვის ოდენობა, რათა მიახლოებით ვიანგარიშოთ საჭირო წყლის ოდენობაც. ჭაჭაში ღვინომჟავას შემცველობა საშუალოდ $1\%-ია$, ე. ი. ტონა ჭაჭა შეიცავს 10 კგ ღვინომჟავას და 13 კგ ღვინის ქვას. ამას ვანგარიშობთ შემდეგი განტოლებიდან:

ღვინის ქვა ღვინომჟავას $79\%-მდე$ შეიცავს, თუ ტონა ჭაჭა 10 კგ ღვინომჟავას შეიცავს, მაშინ მასში ღვინის ქვის განსაზღვრისათვის საჭიროა შევაღვინოთ ასეთი განტოლება:

$$100 - 79; \quad X = \frac{100 \cdot 10}{79} = 13 \text{ კმ},$$

X-10.

ე. ი. აღნიშნული განტოლების მიხედვით, ტონა ჭაჭა შეი-
ცავს 13 კგ ღვინის ქვას.

ჭაჭის გამოხდას ვაწარმოებთ ლია ორთქლით, რომლის
ტემპერატურა 100° -ზე მეტია. ჩვენ ვიცით, რომ სპირტი გა-
მოყოფას იშყებს 80° ტემპერატურაზე და ამ დროს ლიტრ
წყალში იხსნება 43 გ ღვინის ქვა. იმის გასაგებად, თუ რამდენ
ლიტრ წყალში გაიხსნება 13 კგ ღვინის ქვა, შევადგინოთ გან-
ტოლება:

1 ლ-43 გ

$$X - 13000 \text{ გ} \quad X = \frac{13000 \cdot 1}{43} = 302 \text{ ლ.}$$



რადგან ღვინომჟავას შემცველობა ჭაჭაში ცვალებადია, სა-
ჭირო წყლის რაოდენობაც უნდა ვივარაუდოთ 300—350
ლ-მდე, რომელსაც დაემატება ორთქლის კონდენსატიც. მხე-
დველობაშია მისაღები ის, რომ წყლის ტემპერატურა ქვაბში
 100° -ზე მეტია, რის გამოც ღვინის ქვის ხსნადობა შესაბამი-
სად იზრდება.

პაპისგან ღვინომჟავა კალციუმის მიღება ნეიტრალური გეთოდით


ჭაჭისგან ღვინომჟავა კალციუმის მიღება მიზანშეწონილია
ნეიტრალური მეთოდით, რომლის გამოყენებისას ჭაჭაში არ-



სებული ყველა ღვინომჟავა შენაერთი გარდაიქნება მარტინი
მჟავა კალციუმის მარილად. ეს მეთოდი შემდეგში მდგრადად
ობს: განსაზღვრული ოდენობის სპირტიანი ჭაჭით იტვირთ-
ბა გამოსახდელი ქვაბი, რომელშიც ასხამენ შერბილებულ
წყალს ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით. იმის გამო, რომ
ჭაჭა, გარდა მჟავე ღვინომჟავა კალციუმის მარილისა, შეიცავს
ღვინომჟავა კალციუმის მარილს, რომელიც ძნელად იხსნება
მდუღარე წყალში, მის დასაშლელად ქვაბშივე უმატებეს
გოგირდმჟავას — ტონა ჭაჭაზე საშუალოდ 0,5 კგ-ს. ნეიტრა-
ლიზაციის დროს თაბაშირი რომ არ წარმოიქმნას, უნდა ვი-
რიდოთ გოგირდმჟავას ჭარბად შეტანას. დაუშვებელია გო-
გირდმჟავას შეცვლა მარილმჟავათი. მართალია, მას ღვინო-
მჟავა კალციუმი გადაჰყავს ხსნად მდგომარეობაში, მაგრა
ამავე დროს წარმოშობილი CaCl_2 მოქმედებს ღვინის ქვე-
ზე და კვლავ მიიღება ღვინომჟავა კალციუმის მარილი, რეა-
ცია ასე მიმდინარეობს:



ამის შედეგად ნაწილი ღვინის ქვისა უხსნად კალციუმი
მარილში გადადის და რჩება ჭაჭასთან ერთად. ხოლო გო-
გირდმჟავას მოქმედების დროს პირველ რიგში ღვინომჟა-
ვა კალციუმი გადადის ხსნად მდგომარეობაში და წარმოშობი-
ლი თაბაშირი, როგორც უხსნადი დაილექტება ჭაჭასთან ე-
თაღ:



დუღილის პროცესში ღვინის ქვა იხსნება და ხსნად მდგო-
მარეობაში გადადის. ჭაჭიდან სპირტის გამოცლის შემდე-



აღებენ ქვაბის ქვედა ონკანს და ბუყს გაუშვებენ დამწლობრივი რეზერვუარში. განუწყვეტელი მოქმედების წნეხიდან მიღებული ჭაჭის გამოხდის დროს ბუყი დიდი რაოდენობით შეიცავს მექანიკურ მინარევებს, ხოლო ხრახნიანი და ჰიდრავლიკური წნეხიდან მიღებული ჭაჭის ბუყი კი შედარებით ნაკლებს.

გამოსახდელ ქვაბს ქვედა მხარეს აქვს ლითონის საცერი, ხსნარიდან ჩენჩოს მოცილებისათვის, თუ ასეთი ქვაბი არა გვაქვს, მაშინ ქვაბის ქვეშ დგამენ ლითონის საცერი, რომელიც ჩენჩოს განაცალკევებს ხსნარისაგან. ბუყის გაშვების შემდეგ მაქსიმუმი გამოსავალის მიღებისათვის საცერზე დარჩენილი ჭაჭა ცხლადვე უნდა გავწუროთ წნეხში და გამონაწურიც პირველ გამონადენ ხსნართან ერთად გადავიტანოთ დამწდომ რეზერვუარში. ამ წესით მუშაობისას გამორიცხულია ჭაჭაზე მეორადი წყლის დასხმა და დუღილი.

გამოხდილი ჭაჭის დაწნეხის წესს ის უპირატესობა აქვს, რომ მიღება კონცენტრული ხსნარი, ხოლო წყლის მეორადი დასხმისას აღგილი აქვს ხსნარის განზავებას, რის შედეგად მცირდება გამოსავლიანობა და ძლიერი განზავების შემთხვევაში გამოსავალი ნულამდე შემცირდება. (გამოხდილი ჭაჭის დაწნეხაზე საცდელი სამუშაოები ჩავატარეთ სამტრესტის საწარმოო კომბინატში და მივიღეთ ნედლეულის სასურველი გამოსავალი).

დამწდომ რეზერვუარს გარედან უნდა ჰქონდეს პერანგი, რომელშიც სასურველი ტემპერატურის შესანარჩუნებლად გაშვებულია ორთქლი. შეიძლება აგრეთვე შიგ ჩაიდოს ხვეული მილი ორთქლის გასატარებლად.



დამწდომ რეზერვუარში ორთქლის ღიად შეყვანა მიზან-

ქართული

შეწონილი არ არის, რადგან გამოიწვევს დასაწდომებელ შეწონილი ამღვრევას და განაზავებს ხსნარს, რის შედეგად უცველისაფრ დაცემა ნედლეულის გამოსავლიანობა. თუ ტემპერატურის შენარჩუნების პირობები გვაქვს, მაშინ სასურველია ბუყი დაყოვნდეს უფრო ხანგრძლივად, 6—8 საათით, რათა უკეთესად დაიწმინდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამწდომ რეზერვუარში ბუყს მანამ ვაჩერებთ, ვიდრე ტემპერატურა 65—70°-მდე არ დაიწევს.

დამწდომ რეზერვუარში ბუყის ტემპერატურის 40°-ის ქვევით დაცემისას გამოსავალი ძლიერ მცირდება. დაბალი ტემპერატურის მქონე გასანეიტრალებელი ხსნარის ნეიტრალიზატორში სასურველ ტემპერატურამდე გაცხელებით და დებითი შედეგი არ მოჰყვება, რადგან დამწდომ რეზერვუარში ტემპერატურის დაცემის შედეგად ღვინის ქვა ნალექთან ერთად გამოკრისტალდება. ამიტომ ნეიტრალიზაციის დასაწყისში მთავარი მნიშვნელობა აქვს ხსნარის ტემპერატურის 65—70°-მდე შენარჩუნებას. დამწდომ რეზერვუარში ხსნარის გაცხელება აუცილებელია იმ მხრივაც, რომ ყველა გამოსახლელი ქვაბიდან ერთდროულად არ წარმოებს ბუყის გაშვება და, ხსნარების შეგროვების მიზნით, დამწდომ რეზერვუარში ინახავენ ბუყს მომდევნო პარტიის გაშვებამდე.


დამწდომი რეზერვუარიდან სუფთა ხსნარი სიფონით გადაგვაქვს ნეიტრალიზატორში და ვანეიტრალებთ ქლორკალციუმითა და ცარცით. რეაქცია მიმდინარეობს შემდეგნაირად




რეაქციის მიმდინარეობის მიხედვით, მნიშვნელობა არ



აქვს იმას, თუ რომელ ქიმიკატს დავუმატებთ პირველყოფნის
დასაღისტურებლად მოვიყვანთ მათ შორის რეაქციათა მსგანებელი
ლობას. ვთქვათ პირველად დავუმატეთ ქლორკალციუმი:



შემდეგ თავისუფალ ღვინომჟავაზე ვიმოქმედოთ ცარცით;



როგორც ჩანს, მათ შორის რეაქციათა მიმდინარეობის მი-
ხედვით, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ქიმიკატს დავუმა-
ტებთ პირველად, მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ
ქლორკალციუმი ნელა შედის რეაქციაში ღვინის ქვასთან, სა-
სურველია პირველად დავუმატოთ ქლორკალციუმი და შემ-
დეგ ცარცი. ხოლო თუ დროის ეკონომიას არ გავუწივთ ანგა-
რიშს, მაშინ პირველად დავუმატებთ ცარცს, შემდეგ კი
ქლორკალციუმს. ყოველ 100 კგ თეთრი ჭაჭის ბუყს, თუ ის
საშუალოდ 0,5 %-იანია, დაემატება 250 გ კრისტალური
ქლორკალციუმი.

წილი ღვინის ჭაჭაში ღვინომჟავა საშუალოდ 1,3 %-მდეა,
ამიტომ ყოველ 100 კგ ჭაჭის ბუყს დაემატება 0,7 კგ ქლორ-
კალციუმი. ამ რაოდენობით ქლორკალციუმის დამატების შე-
მდეგ რეაქციის დამთავრებას ვამოწმებთ მუაუნმჟავა ამონი-
უმით. ამისათვის სინგარაში ვფილტრავთ უსანეიტრალუბელ
ხსნარს და უმატებთ 1—2 მლ გაზავებულ მუაუნმჟავა ამო-
ნიუმის ხსნარს. თუ მივიღეთ რძისმაგვარი შეფერვა, ეს ნიშ-
ნავს, რომ რეაქცია დამთავრებულია. წინააღმდეგ შემთხვევა-
ში, CaCl_2 -ს კვლავ ვამატებთ მცირე ოდენობით, სანამ
არ მივიღებთ სასურველ შეფერვას. მუაუნმჟავა ამონიუმის
დამატებით ვამოწმებთ CaCl_2 -ის ზედმეტობას და ამით

გავიგებთ, რომ დაუშლელი არ არის კალიუმის მინერალი რეაქციის დამთავრების შემდეგ მცირე დოზებით უპარატები ქიმიურად სუფთა ცარცს. თუ ასეთი არა გვაქვს, მაშინ ვიყვნებთ წინასწარ მომზადებულ ცარცს.

ამ დროს რეაქციის დამთავრების შემოწმება კონგოს ან ლაკმუსის ქალალდით სასურველ შედეგს არ გვაძლევს, რაღაც ხსნარში წარმოშობილი ნახშირორჟანგი, რკინისა და ალუმინის ხსნადი შენაერთები, მიუხედავად ცარცის ზეღმეტობისა, კონგოს ქალალდს მაინც უცვლის ფერს და ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ცარცი საკმაო ოდენობით არ არის დამატებული.

რეაქციის დამთავრების ერთადერთი მაჩვენებელია გასანეიტრალებელი ხსნარის ზედაპირზე 1 სმ-მდე ქაფის წარმოშობა. ცარცის მიმატებისას რეაქციის დამთავრებას კი მოწმებთ მარილმჟავათი. ამისათვის სინგარაში 4—5 სმ³-მდე განეიტრალებულ ხსნარს დავუმატებთ რამდენიმე წვერ მარილმჟავას. სინგარას ცერით დავხურავთ და ოდნავ შევანჭლრევთ. თუ სინგარაში ხსნარის ზედაპირზე წარმოიშვა 1 სმ-მდე ქაფი, ეს ნიშნავს, რომ რეაქცია დამთავრდა. ხოლო თუ ქაფი დიდი ოდენობით წარმოიშვა, მაშინ ცარცი მეტი ზედმეტი ცარცი აუარესებს ნედლეულის ხარისხს. ზედმეტი ქლორკალციუმი არ მოქმედებს უარყოფითად ნედლეულის ხარისხზე, მაგრამ მის ზედმეტ დანაკარგებს კი იწვევს.


რეაქციის დამთავრების შემდეგ განეიტრალებულ ხსნარის ასხამენ რეზერვუარში ღვინომჟავა კალციუმის დასალექად, სადაც აყოვნებენ 3—4 საათით, რომლის შემდეგ ხსნარს სოფონით ფრთხილად მოხსნიან და გადაღვრიან დამჭერ ჭურ-

ჭელში გავლით. ღვინომჟავა კალციუმის გარეცხვა და შროშფლული წარმოებს წინა თავში განხილული წესით.


როცა მუშაობის ნორმალური პირობებია, ჭაჭიდან დანაკარგი 40 %-მდე აღწევს. მაგარი წყლით მუშაობისას დანაკარგი ბევრად იზრდება. მასანდრის ცდების მიხედვით ჭაჭიდან დანაკარგი უდრის 58—68 %-ს, ე. ი. გამოსავალი აღწევს 42—32 %-მდე. სხვა ჩატარებული ცდებიც ამ მონაცემებს აღასტურებენ. თუ ტექნოლოგიურ რეჟიმს სწორად დავიცვთ, აღნიშნული გამოსავლიანობა საგრძნობლად გაიზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მივიღებთ მცირე გამოსავალს.

მავისგან ღვინომჟავა კალციუმის მიღება სოდის მათოდით

ამ მეთოდის არსი ის არის, რომ ჭაჭაში არსებული ღვინომჟავა შენაერთები, ღვინომჟავა კალიუმისა და ღვინომჟავა კალციუმის მარილები სოდის მოქმედებით გადავიყვანოთ ღვინომჟავა კალციუმ-ნატრიუმის ხსნად მარილში და შემდეგ მასზე ქლორკალციუმის მოქმედებით მივიღოთ ღვინომჟავა კალციუმის უხსნადი მარილი. მათი რეაქცია ასეთია:





როგორც ჩანს, ღვინომჟავა კალიუმის მარილზე (ღვინის ქვა) სოდის მოქმედებით მიიღება ღვინომჟავა კალიუმ-ნატრიუმის აღვილად ხსნადი სეგნეტის მარილი.





აქაც მიიღება ლვინომჟავა ნატრიუმის ადვილაფიტური რილი და ცარცი. აქედან პირველი რჩება ხსნარში, ცარცი კამოიყოფა ნალექში.

ცარცი ლვინომჟავა საშუალო მარილზე არ მოქმედებს მაშასადამე, სოდის მოქმედების შედეგად ჭიჭაში არსებული ლვინომჟავას უხსნადი მარილებიდან მივიღეთ ლვინომჟავა ადვილად ხსნადი მარილები. ამ ხსნადი მარილებიდან, რომებიც ხსნარში არიან გადასული, უნდა მივიღოთ უხსნად ლვინომჟავა კალციუმის მარილი. ამის შესაძლებლობას იძლევა მასზე ქლორკალციუმის მოქმედება, რომელთა რეაქცია:



ახლა გავეცნოთ მიღების ტექნოლოგიას. გამოსახდელ ქვაბში კახური ტიპის თეთრი და წითელი ლვინის ყოველ ტონა ჭიჭას ემატება 7 კგ სოდა, ხოლო, თეთრი ლვინის ჭიჭას 4 კგ სოდის საჭირო რაოდენობა იანგარიშება შემდეგნაირად:

ლვინომჟავას მოლეკულური წონაა	150
სოდის	106


$$150 - 106, X = \frac{106 \cdot 100}{150} = 70 \text{ კგ.}$$

$$100 - X$$

ე. ი. ყოველ 100 კგ ლვინომჟავას ესაჭიროება 70 კგ სოდა.

დუღილის დროს ლვინომჟავა კალიუმისა და კალციუმის მარილი სოდის მოქმედებით გადადის ლვინომჟავა კალიუმის ხსნად მარილებში. გამოხდის შემდეგ ბუყს გაატენებენ ლითონის საცერში. შემდეგ 3—4 საათით დააყოვნებენ

ప్రాధిక వ్యవస్థలలో ఫ్రెంచ్ లైంగికాల్ క్లోరిట్ ప్రాణ్యుల్ ప్రశ్నల నొప్పిల్లి
 — శ్రేష్ఠంగా ఉన్న ప్రశ్నలు



ქართული მუსიკური

დამწლომ რეზერვუარში. აქ მთავარი ყურადღება უნდა მოივაჭიდოს ციონ ტემპერატურის ცვალებადობას, რათა პლატფორმაზე 60—70°-ზე დაბლა და არ განვითარდეს ღვინომჟავას შენარჩუნებული ბაქტერიები. აღნიშნული ტემპერატური პირობებში სუფთა ხსნარს სიფონით გადავიტანთ ნეიტრალური ზატორში. თუ პირდაპირ გადატანა არ მოხერხდა, მაშინ კუსიფონით გადავიტანთ მიმღებში და შემდეგ ტუმბოთი—ნეიტრალიზატორში. ყოველ ტონა კახური ტიპის თეთრი დაწითელი ღვინის ჭაჭაპა ვუმატებთ 8 კგ ქლორკალციუმს, თუ რი ღვინის ჭაჭაპა კი —4 კგ-ს. ზედმეტი ქლორკალციუმი უჯროვთ ითად არ მოქმედებს, მაგრამ ზედმეტად ხარჯვა არასასურველია.

ქლორკალციუმის გამოანგარიშება:

ღვინომჟავას მოლეკულური წონაა	150
ქლორკალციუმის „ „ „ „	110
150 — 110,	
100 — X	
$X = \frac{110 \cdot 100}{150} = 73$ კგ.	

ამ შეფარდებიდან ირკვევა, რომ თითოეულ კგ ღვინომჟავას დასჭირდება 0,73 კგ ქლორკალციუმი.

ნაკლები დანაკარგებით ხარისხიანი ღვინომჟავა კალციუმის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სუფთა ხსნარი ბის გადატანას და ტემპერატურულ რეჟიმს. თუ ერთ-ერთ პირობა არ შესრულდა, მივიღებთ დაბალი ხარისხის და მცირე რაოდენობის ნედლეულს. მაღალი გამოსავალი რომ მივ



ღოთ საცერზე დარჩენილი, ხსნარით გაუღენთილი ჭავჭავაძის მუზეუმის მიერ და უნდა გატარდეს წნებში, ამიტომ გამოსახდელ ქვეზე თან მოხერხებულ ადგილას დგამენ წნებს და საცერში გატარების შემდეგ წურავენ ჭავჭას, რომელიც 30—40 % -მდე შეიცავს ღვინომჟავას, ხსნადი მარილებით. ამ გამონაწყრს შეუერთებენ თვით ნადენ ხსნარებს და დაწერომის შემდეგ გადაიტანენ ნეიტრალიზატორში. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნარის თითქმის მესამედი დარჩება ჭავჭაში, მაში არსებულ ღვინომჟავას ამდენივე ნაწილი არ გამოიწურება და, მაშასადამე შემცირდება გამოსავალი. ჭავჭა ისედაც ღარიბია ღვინომჟავა შენაერთებით და, ცხადია, უნდა ვერიდოთ მათ დაკარგვას.

ქლორკალციუმის საქმარისობას ვამოწმებთ მუაუნმჟავა-ამონიუმით. სინგარაში ჩავასხამთ 5 სმ² სასინჯ ხსნარს, მცირე იღენობით დავუმატებთ მუაუნმჟავა ამონიუმის ხსნარს. თუ რძისფრად შეფერადდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქლორკალციუმი საქმარისია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქლორკალციუმს მანამ ვუმატებთ, სანამ სასურველ რეაქციას არ მივიღებთ.

სოდით დამუშავებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურის რეჟიმის დაცვას. თუ დავიცავთ ჭავჭას ნეიტრალური მეთოდით გადამუშავებისას საჭირო ტემპერატურას, მაშინ შეგვიძლია რამდენიმე პარტიის ხსნარები ერთად შევაგროვოთ და დაწერომის შემდეგ გადავიტანოთ ნეიტრალიზატორში. ამ წესით მუშაობისას შედეგიც ბევრად უძინესია.

სოდის მეთოდს, დადებით თვისებებთან ერთად, აქვს ნაკლიც. მისი დამატებით წარმოიქმნება ტუტე არე, რომელ-




შიც ადვილად ვითარდება ღვინომჟავას და მულტიფარმაციულ მჟავას შენაერთებს მთლიანად შლის *Bacterium tartarophorum* მავნე მიკროორგანიზმთა წარმოქმნა თავიდან რომ ყველოთ, სოდით დამუშავებულ ხსნარებში უნდა შევინარჩუნო მაღალი ტემპერატურა — 65—70°. ამასთან, აქედან მც ბული ღვინომჟავა კალციუმი სწრაფად უნდა გავაშრო ხელოვნურ საშრობში, 100° ტემპერატურაზე. თუ არ შნულ პირობებს ვერ შევქმნით, სოდის გამოყენებაზე უნდა ვთქვათ.

ყველა მეთოდს თან ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები. სოდის გამოყენება კარგია იმით, რომ ქვაბში დღილისას ღვინომჟავა შენაერთები ხსნად მდგომარეობა გადადის. ამისათვის დამატებით არ არის საჭირო: წყალი ეტროენერგია, სითბო, ჭურჭელი და ბევრი მუშახელა.

სოდის ზედმეთობის უარყოფითი მხარე და მისი თავიდან აცილება

ჭაჭის გამონახადი ბუყიდან ღვინომჟავა კალციუმის მც ბისას მთავარია დავიცვათ მისაცემი სოდის ზუსტი ოდენობით ამ გარემოებას გვერდს ავუკლით, მოსალოდნელია მც ღოთ მცირე და უხარისხო ღვინომჟავა კალციუმის გამოსალი, რამაც შესაძლოა ხელიც აგვაღებინოს ამ მეთოდით შეაობაზე.


როცა სოდა ზედმეტია და მას ვანეიტრალებთ ქლორქაციუმით, წარმოიშობა ცარცი, რომელიც ილექტება ღვინომჟალციუმთან და უგარგისს ხდის მას.




მიტომ სოდა უნდა მიეცეს მცირე ზედმეტობით.

სოდის ოდენობა დგინდება შემდეგი წესით: სინჯარაში ვიღებთ 10 მლ ხსნარს, ვუმატებთ 1 მგ მარილმჟავას, თუ წარმოშობილი ქაფი 1—2 სმ-ს აღემატება, ეს სოდის ზედმეტობის მაჩვენებელია, თუ არა და, სოდის დასაშვები ოდენობის დამადასტურებელია. სოდის შესამცირებლად ხსნარს ჭერ ვუმატებთ მარილმჟავას სასურველი რეაქციის მიღებამდე შემდეგ ქლორქალციუმს.

ზედმეტი სოდის შემცირება ასე გამოიხატება:




ამ რეაქციის დროს, თუ სწორად არ დავიცავით ზემოაღნიშნული შემოწმების წესი და მარილმჟავა მივეცით ზედმეტი რაოდენობით, მაშინ სეგნეტის ვარილთან წარმოიშობა ღვინის ქვა და კვლავ გაიზრდება დანაკარგები, რაც გამოიხატება შემდეგი განტოლებით:



სოდით დამუშავებული ხსნარი მუშავდება მხოლოდ ქლორქალციუმით.

ზედმეტი სოდა არ მცირდება გოგირდმჟავათი, რადგან რეაქციის დროს წარმოიქმნება Na_2SO_4 და მასზე CaCl_2 -ის მოქმედებით მიიღება თაბაშირი, რომელიც დაილიქება ღვინოზეავა კალციუმთან და თუარესებს მძი ხარისხს.



აღნიშნული მეთოდი სოდის ზედმეტობის დასაღენად და მის შესამცირებლად უნდა გამოვიყენოთ ლვინომჟავა კალიუმის მიღების ყველა შემთხვევაში.

ლვინის გუბისგან ლვინომჟავა კალიუმის მიღება ნაიტრალური გათოდით

მდარე ხარისხისა და დაავადებული ლვინოების გამოხატვის შემდეგ მიღებულ მასში ლვინის ბუყს უწოდებენ. ბუყი, გარდა ლვინომჟავისა, შეიცავს სხვა ორგანულ მჟავებს, რკინისა და ალუმინის შენაერთებს და საღებავ ნივთიერებებს. ბუყი რჩება ლვინის ყველა არამქროლავი ნივთიერება, მათ შორის ლვინომჟავა შენაერთებიც. ლვინომჟავა შენაერთაგან ძირითადია მჟავი ლვინომჟავა კალიუმი ანუ ლვინის ქვა $\text{KHC}_4\text{H}_6\text{O}_2$ და მცირე ოდენობით თავისუფალი ლვინომჟავა. სხვა მჟავათ გან მთავარია რძისა და ძმრის მჟავა, რომლებიც თავისუფალი სახით არიან და შედიან ლვინის ტიტრულ მჟავიანობაში. ბუყი 0,5 %-მდე შეიცავს საფუვრის უჯრედებს და ლოვან ნივთიერებებს, რომელიც დუღილის დროს აიჭრება და იწვევს ხსნარის სიმღვრივეს.

ბუყში ლვინომჟავას შემცველობა დამოკიდებულია იმპით რომელი ფრაქციიდანაა ლვინო მიღებული. ქვემოთ მოყვავს ცხრილი გ. ბერიძის მიხედვით.



წვენის ფრაქცია	სპირტის შემ- ცველობა %-ით	ღვინომჟავას შემცველობა გ/ლ.
თვითნადენი	10,9	1,66
პირველი დაწურული ფრაქცია	10,9	1,27
საშუალო დაწურული ფრაქცია	10,4	1,78
ბოლო დაწურული ფრაქცია	10,1	2,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო ფრაქციაში სპირტის ღვინობა კლებულობს, მაგრამ ღვინომჟავა მატულობს.

ბუყში ღვინომჟავას შემცველობა განისაზღვრება სპირტის გამოხდის ტექნოლოგიით.

გამოსახდელ ქვაბებში, სადაც დუღილისათვის ღია ორთქლია შეყვანილი, კონდენსაციის შედეგად მასა ზაკდება წყლით. და ბუყში კლებულობს ღვინომჟავას პროცენტული შემცველობა. ხოლო გამოსახდელ ქვაბებში, სადაც დუღილისათვის დახურული ორთქლია შეყვანილი, სპირტს მიჰყვება გამოხდალი წყალიც, რის შედეგად ბუყში ღვინომჟავას პროცენტული შემცველობა საშუალოდ 1,3-ჯერ იზრდება. ღვინომჟავას შემცველობა ბუყში მთელი ტიტრული მეავიანობის 30—40 %-ს შეადგენს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღვინის გამოხდისას, თუ ვაპირებთ ღვინომჟავა კალციუმის დამზადებას, უნდა შევიყვანოთ დახურული ორთქლი, რათა უზრუნველყოთ ხსნარის მაღალი კონცენტრაცია.

ბუყიდან ღვინომჟავა კალციუმის დამზადებისას ისე უნდა წარიმართოს ტექნოლოგია, რომ ზემოაღნიშნული მინა-



რევები მცირე ოდენობით მოხვდეს მასთან უშუალოდ აკავები სი განცალკევების ორი წესი არსებობს. პირველი რა სი მდგომარეობს იმაში, რომ ღვინის გამოხდის შემდეგ ბუყი გაიშვება დამწდომ რეზერვუარში, სადაც ღწევა მისათვის მანამ დავაყოვნებთ, სანამ მისი ტემპერატურა არ დაიწევს $60-65^{\circ}$ -მდე. ამას დაჭირდება 5-6 საათის შემდეგ მისი გაჩერება დასაწყდომად დაუშვებელია, სანამ მოვალეობისათვის გადავიტანოთ ნეიტრალური ტემპერატურა. დამწდომ რეზერვუარში დახურული მილით ორთქლი შეყვანა საშუალებას მოგვიერების საშუალებიც დიდი ოდენობის შევაგროვოთ და მათი დაწყდომაც სურვილისამებრ წარიმატება.

თუ სიმღვრივე გადაჰყვა გასანეიტრალებელ სსნარს და მოილექა ღვინომჟავა კალციუმთან ერთად, ეს ხელს შეუძლია მის დალექსას, გაფილტვრას, გარეცხვას და შრობას.

ბუყიდან მინარევების მოცილების ყველაზე უკმაყოფილი საშუალებაა მისი გაფილტვრა ფილტრებში ცხლად, რომელ საც გადაკრული აქვს ფილტრის ქსოვილის — ერთი ან ფრთხის გადასაცვლით. ბუყი, რადგან მცირე მექანიკურ მინარევებს შეიცავს ადვილად იფილტრება, ხოლო ფილტრაციის შემცირების შესაძლებელია მისი დაშლა და ჩაწმენდა, ჩანაწმენდი ნალექი გადაიყრება.

გაფილტრული სსნარი უნდა შევაგროვოთ დამწდომ რეზერვუარში, სადაც დახურული ორთქლია შეყვანილი ტემპერატურის შესანარჩუნებლად. ამ წესის გამოყენებით სსნარი დიდი რაოდენობით შეგვიძლია შევაგროვოთ და შემდეგ ერთ გავანეიტრალოთ. დამწვდომ რეზერვუარში, სსნარი ნაწილობრივ ორთქლდება და კონცენტრაცია იზრდება, რაც მაღალ

შესავლიანობის პირობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში კუნძულით რაღება უნდა მიექცის იმას, რომ ხსნარმა არ დაიწყოს დურილი, სასურველი ტემპერატურაა $65-70^{\circ}$.

დამწილომ რეზერვუარში ორთქლის დიად შეყვანა, ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით, დაუშვებელია, რადგან მონაბეჭდის ართქლის კონდენსაცია, და შეაცირებს გამოსავლიცნიბას.


ბუყიდან ღვინომჟავა კალციუმის მიღების ორ წესს განვალიოვთ:

ბუყის დამუშავება ცარცით და ქლორკალციუმით. რეზერვუარიდან მოვხსნით სუფთა ხსნარს და გადავიტანი; ნეიტრალიზატორში. შემდეგ ამრევის განუწყვეტელი მუშაობისა დავუმატებთ ცარცს (სასურველია ქიმიურად სუფთა კარცი). ბუყში არსებულ მჟავათაგან ყველაზე აქტიურია ღვინომჟავა, რის გამოც იგი უფრო ენერგიულად შედის რეაქციაში, მაგრამ კალციუმთან რეაგირდება სხვა უფრო სუსტი მჟავებიც, ილგმება ღვინომჟავა კალციუმთან ერთად და აუარესდებს მის ხარისხს. ამის თავიდან აცილების მიზნით რეაქცია უნდა დავამთავროთ მაშინ, როცა ხსნარში დარჩება ტიტრული მჟავიანობას 0,3%. პრაქტიკულად ეს მომენტი დგიბა, როცა კარცის დამატებისას ხსნარის ზედაპირზე ქაფი კვლავ 1 სმ-მდე გამოიყოფა. რეაქციის დამთავრება მოწმდება აგრეთვე კანგოს ქაღალდით. სასინჯ ხსნარს ვაწვეთებთ კონგოს ქაღალდზე, თუ მოგვცა შესამჩნევი მუქი ფერი, ეს ნიშნავს, რომ ხსნარში დარჩა მისი ტიტრული მჟავიანობის დაახლოებით 0,3%, რომლის შემდეგ ცარცის მიმატება უნდა შევწყვიტოთ. ნეიტრალიზაციის მსვლელობისას თვალი უნდა ვადევნოთ ხსნარის ფერის ცვლილებას. დასაწყისში ხსნარს აქვს ღია ფერი.



რეაქციის დამთავრებისას ფერს იცვლის და თითო შეგწყვიტოთ და ყოველ ტონა ღვინის ბუქს დაკუმატოთ 0,5 კგ ქლორქალციუმის რადგან ბუქში ტიტრულ მჟავებთან ერთად არის ღვინის ქარ

ბუქში არსებული რძემჟავა და ძმარმჟავა ნეიტრალიზაციის დროს წარმოშობენ ადვილად ხსნად კალციუმის მარილებს. რომლებიც რეაქციაში შედიან ღვინის ქვასთან და მას კალციუმის მარილად გარდაქმნიან. მაგალითად, რძემჟავა ნეიტრალიზაციისას წარმოქმნის რძემჟავა კალიუმის $\text{Ca}(\text{C}_3\text{H}_5\text{O}_3)$ ხსნად მარილს, რომელიც ღვინის ქვას გამოლექავს კალციუმის მარილის სახით.



ამ დროს ხსნარის ტიტრული მჟავიანობა არ იცვლება, რადგან რეაქციის დროს ისევ აღდგენილ იქნა რძემჟავა. ამის მსგავსად ძმარმჟავაც წარმოქმნის ძმარმჟავა კალციუმის ხსნად მარილს. რომელიც ღვინის ქვას კვლავ გამოლექავს კალციუმის მარილის სახით. ცდებით დადგენილია, რომ ღვინოში რძემჟავა მერყეობს 1 %-მდე. მაგრამ ორგანული მჟავები ღვინოში არის იმ რაოდენობით, რომლითაც ბუქში არსებული ღვინი ქვა მთლიანად გარდაიქმნებოდა კალციუმის მარილად. ამიტო ტონა ღვინის ბუქს ნეიტრალიზაციის დროს უნდა დაემატო 0,5 კგ ქლორქალციუმი, რათა ღვინის ქვა მთლიანად გარდაქმნას კალციუმის მარილად. თუ მქროლავი მჟავა ღვინოში არ 4 %, მაშინ ნეიტრალიზაციისას ძმარმჟავა კალციუმის ხსნა მარილი წარმოიქმნება იმ რაოდენობით, რომ მასზე ქლორქალციუმის დამატება არ იქნება საჭირო.



ქლორეალციუმის საკმაობას ვაწარმოებთ შემდეგი წესით განვითარებული სასინჯ ხსნარს 5 მლ-მდე გადავიტანთ სინჯარაში, დაუმატებთ 2 მლ-მდე მუაუნმუავა ამონიუმის 10 % -იან ხსნარს. თუ მოგვცა რძისმაგვარი შეფერვა, ქლორეალციუმი საკმაო რაოდენობითაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვამატებთ მანამ, ვიდრე არ მოგვცემს სასურველ რეაქციას. რეაქციის დამთავრების შემდეგ ამრევი კიდევ მუშაობს 20 წუთს. განეიტრალიზებულ მასას ჩამოვასხამთ დამწლომ ჭურჭელში, სადაც დავაყოვნებთ 3—4 საათს, შეძლებ სნარს გადავღვრით, ხოლო ღვინომუავა კალკიუმს ვრჩებთ ცენტრიფუგაში და ვაშრობოთ ჩვეულებრივ.


ბუყის დამუშავება სოდით. გამოხდის დამთავრების შემდეგ ჭურჭელშივე დაუმატებთ 2 კგ კალცინირებულ სოლას Na_2CO_3 და ვადულებთ 15—20 წუთის განმავლობაში. ალკოჰოლის სრულ გამოხდამდე სოდის დამატება არ არის მიზანშეწონილი, რადგან გამოიყოფა CO_2 და გამონახადიც ნაწილობრივ მღვრიეა. შემდეგ ბუყს ცხლადვე გავფილტრავთ ფილტრ-ჭესში, რათა მოვაცილოთ ხსნარში მოყოლილი მექანიკური მინარევები, როგორიცაა უჯრედანა, სალებავი ნივთიერებანი და სხვ. თუ ფილტრპრესი არა გვაქვს, მაშინ ჩამოვასხამთ დამწლომ რეზერვუარში (მისი დაწლომისა და შეგროვების ტექნოლოგია იგივეა, როგორც ნეიტრალური მეთოდისას). სოდის მიკროს შედეგად ხსნარში წარმოიქმნება კალიუმ-ნატრიუმის სნაღი — სეგნეტის მარილი.

$\text{KHC}_4\text{H}_4\text{O}_6 + \text{Na}_2\text{CO}_3 = \text{KNaC}_4\text{H}_4\text{O}_6 + \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O}$


ამ დროს ბუყში არსებული ღვინომუავა კალიუმის მარილი კარგად მნება ადვილად ხსნად სეგნეტის მარილად. სუფთა სნარი, რომლის ტემპერატურა $60—70^\circ$, გადაგვაქვს ნეიტრალიზატორში.



სეგნეტის მარილიდან რომ გამოვყოთ ლვინომ ~~უკავშირობის~~ მის მარილი, — ყოველ ტონა გამოსახდელი ლვინის ბეჭდუმატებთ 5 კგ ქლორკალციუმს. მათ შორის რეაქცია მიზნარეობს შემდეგნაირად:



ამ რეაქციის დროს, თუ სოდა მეტია მიცემული, ქლორკალციუმთან ერთად წარმოიქმნება ამორფული ცარცი, რომელი ღვინომჟავა კალციუმს გაჰყვიბა, რაც გააუარესებს მსარისხს.



სოდა უნდა მივცეთ ოდნავ მჟავე რეაქციამდე.

ცარცის წარმოშობა რომ ავიცილოთ, სოდის ზედმეტობ შესამცირებლად, სასურველია გამოვიყენოთ მარილმჟავით და მუშავების წესი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ამით უჩინებელვყოფთ სოდის ზედმეტობით გამოწვეულ უარყოფით დეგს, მასზე ახალი გასანეიტრალებელი ხსნარის დამატება დეგს არ მოგვცემს, რადგან სოდა აქაც ზედმეტი ოდენობის იქნება.

სოდის ზედმეტობა იწვევს დიდ დანაკარგებს. მისი საქმიანობა მოწმდება ტიტრაციით ან კონგრს ქალალდით. სასინჯი წუთის გადატანა კონგრზე უნდა აღინიშნოს შესამჩნევი მუცეულით.

ქლორკალციუმის საკმარისობაც ზემოთაღწერილის მიზნით მოწმდება, როცა რეაქცია დამთავრდება, ამრევი კიდე 15—20 წუთს მუშაობს, შემდეგ ჩამოვასხამთ დამწდომ რეზი რეუარში, სადაც ვაყოვნებთ 10—12 საათს. დაწდომისათვე

განკუთვნილი დროის ხანგრძლივობა იმით აიხსნება, რომ
 სუსტ ნეიტრალურ ხსნარებში ღვინომჟავა კალციუმის წვრილი
 კრისტალები ამორფული სახითაა და ამიტომ ნელა ილექტბა.

ყოველ ტონა ბუქს უნდა დაემატოს 2 კგ სოდა და 5 კგ
 ქლორკალციუმი.

დაწმომის შემდეგ ღვინომჟავა კალციუმს ვრცელდება ცენ-
 ტრიფუგაში და მაშინვე გადაგვაქვს საშრობში. დაწმომისას
 ხსნარის ტემპერატურამ არ უნდა დაიწიოს 60° -ის ქვემოთ, რა-
 თა არ განვითარდეს ღვინომჟავას დამშლელი მიკროორგანიზ-
 მები, რომლებიც ნეიტრალურ არეში სწრაფად მრავლდებიან.

ცარცის ნალეჭი

ამ სახელწოდების ნედლეული იშვიათად გვხვდება. მაგ-
 რამ იმ ქარხნებში, სადაც ბადაგის დამზადებისას ტკბილში სი-
 მჟავეს ხელოვნურად ამცირებენ სასურველ ოდენობამდე.
 ტკბილის განეიტრალება წარმოებს მშრალი ცარცით იმ ვარ-
 უდით, რომ ტკბილის საერთო სიმჟავი უდრიდეს 3—4 %.
 ყოველ 1 დალ წვენს, სიმჟავის 1 %-ით შესატცირებლად, უმა-
 ტებენ 7 გ ცარცის. აქედან ყოველ ტონა ტკბილზე დაიხარჯე-
 ბა 100-გრ მეტი, ე. ი. 700 გ ცარცი. ცარცის დამატებისას
 აცხელებენ $50—60^{\circ}$ -მდე, დუღილის ასაცილებლად. ამგვარი
 დამუშავების შემდეგ წვენს აყოვნებენ $10—12$ საათით. სუტ-
 თა ხსნარს მოხსნიან და ადუღებენ. დარჩენილ ცარცის ნა-
 ლექს ასხამენ კასრში, ხურავინ და აჩერებენ რამდენიმე დღეს,
 სანამ ნალექი არ გამაგრდება.

ცარცის ნალექი შეიცავს შაქარს, რომლის მოსაცილებლად



ნალექს 2—3-ჯერ რეცხავენ წყლით. განარეცხ წყალშეტყიცებულის ღებენ და გამოხდიან სპირტს.

ცარცის ნალექი ღვინომჟავა კალციუმის მარილია, რომელ საც წნეხავენ და აშრობენ. მასში ღვინომჟავა 35—40%-მდეა. მართალია, მას დიდი საწარმოო ხასიათი არა აქვს, მაგრამ ღვინის ქარხნებს, რომლებიც ბადაგს ამზადებენ, შუძლიათ შეაგროვონ იგი და ჩააბარონ როგორც ღვინომჟავა ნედლეული მისი ღირებულება უდრის ღვინომჟავა კალციუმის მარილის ღირებულებას.

ღვინომჟავა კალციუმის ხარისხი უარყოფითად მოქმედი ფაქტორები

ღვინომჟავა ნედლეული, გარდა ღვინომჟავა კალციუმისა და კალციუმისა, შეიცავს ღვინომჟავას წარმოებისათვის მავნე რკინის, ალუმინის და ფოსფორმჟავა შენაერთებს.

ნედლეულის ხარისხობრივი შეფასებისათვის არ კმარი მისი ანალიზი წარმოებდეს მარტოოდენ სიმჟავის შემცველობაზე. ამასთან საჭიროა მასში განისაზღვროს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ქმნიან გაფუჭების საფრთხეს, ხელს უშლის მომდევნო პროცესების მსვლელობას, აუარესებს ღვინომჟავა პროდუქციის ხარისხს და ზრდის ბუნებრივ დანაკარგებს.

აღნიშნულ ფაქტორთაგან ძირითადია ნედლეულში სინერგიის, დანაგვიანების კოეფიციენტისა და უჯრედანას განსაზღვრა. არსებობს აზრი, თითქოს ანალიზის დროს სინერგიული შედის საანალიზოდ აღებული ნიმუშის საერთო წონაში და ამით მცირდება ღვინომჟავას პროცენტიც. ერთი შეხედვით, ეს აზრი თითქოს სწორია და ზედმეტი სინერგიე ნედლეულში



მავნედ არ უნდა მოქმედებდეს, მაგრამ სინამდვილეში კუთხია ლეულში არსებული სინესტი უნდა განისაზღვროს ქიშიური ანალიზის დროს და გამოაკლდეს მის ფიზიკურ წონას. ეს იმიტომ, რომ ღვინომჟავას ქარხანას არ ძალუდს მიღებული ნედლეული იმავე დღეს გადაამუშაოს. ის ინახება საწყობში თვეობითაც კი. ამ დროის მანძილზე სინესტი ხელს უწყობს მცროფლორის გავრცელებას, რის შედეგად მცირდება ღვინომჟავას ოდენობა, ნედლეულის ანალიზი უნდა გაკითხოს აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში. დანაგვიანების კოეფიციენტი იმ მავნე შენაერთების ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ხელს უწყობს ღვინომჟავას გადასვლას იზომერებში, ამცირებს გამოსავლიანობას და სცემს პროდუქციის ხარისხს. ამის გძინ ნედლეულში უნდა განისაზღვროს დანაგვიანების კოეფიციენტი და გამოაკლდეს სიმჟავის პროცენტს. დანაგვიანების კოეფიციენტი არის რკინის, ალუმინის და ფოსფორის მარილების ჯამის შეფარდება ღვინომჟავას რაოდენობასთან ნედლეულში, რომელიც ამდენივე პროცენტით ამცირებს მის გამოსავლიანობას.

ქედან გამომდინარე, ღვინომჟავას ნედლეულის მიღებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ფორმულით:

$$x = -\frac{D \cdot c}{100} \left(1 - \frac{b}{100}\right) \cdot \left(1 - \frac{K}{100}\right)$$

- სადაც: x — ნედლეულში ღვინომჟავას შემცველობაა;
 D — ნედლეულის ფიზიკური წონა;
 c — ნედლეულში სიმჟავის პროცენტი;
 b — ნედლეულის სინესტე პროცენტობით;
 K — დანაგვიანების კოეფიციენტი.



მაგალითად:

1000 კგ არის ნედლეული; ეს რაოდ უნდა იყოს?

40% სიმუავის შემცველობა;

6% სინესტე;

2% დანაგვიანებას კოეფიციენტი.

აღნიშნული მონაცემები ჩაისათ ფორმულაში.

$$X = \frac{1000 \cdot 40}{100} \cdot \left(1 - \frac{6}{100}\right) \cdot \left(1 - \frac{2}{100}\right) = 368.$$

მოცემულ მაგალითში 1000 კგ ნედლეული გადაყვანილი სუფთა სიმუავეზე, უდრის 368 კგ-ს.

ობის ნიშნები იმძი შედეგია, რომ ნედლეულში დაიწყო მიკრობული პროცესი და იშლება მასში არსებული ღვინომჟავა. ამის გამო ობით დაავალებული ნედლეული არ უნდა იქნის მიღებული.

ნეიტრალიზაციის სწორად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცარცის ხარისხს, რომელიც ლაბორატორიულ წესით უნდა შემოწმდეს. არ უნდა შეიცვდეს თიხას, რკინის, ალუმინისა და მაგნიუმის შენაერთებს.

თუ ცარცი შეიცავს ბაგეიუმს, წარმოიშობა ღვინომჟავა მაგნიუმი, რეაქციაში შედის გოგირდმჟავაშთან და იძლევა ადვილად ხსნად გოგირდმჟავა მაგნიუმს, რომელიც გროვდება მთავარ ხსნარებში და არღვევს კრისტალიზაციის ნორმალურ მსვლელობას.

ამრიგად, ცარცით ნეიტრალიზაციის დროსაც მოსალონებია კირმჟავაში მოხვდეს რკინისა და ალუმინის შენაერთები უხარისხო ცარცის შიზეზით, და მით უძეტეს, თუ გარეუ-

ეს პროცესები არასწორად ჩატარდა, ღვინომჟავა კალციუმით გამოიყენება მანც დანაგვიანდება ხსენებული მავნე შენაერთებით და ჯეორესლება ღვინომჟავა კალციუმის ხარისხი.

ცარცის გამოყენების უარყოფითი მხარე ისაა, რომ სუსტ სხივებში ნაკლებ აქტიურია, ვიდრე კირი. მაგრამ სხვა დაფიბითი თვისებების გამო ვარჩევთ ცარცით მუშაობას.

ოდნავ ზედმეტი კირი იწვევს წარმოებისათვის მავნე შენერთთა გადაყვანას უხსნად მდგომარეობაში, ილექტება კირშ-ფაქტონ ერთად (როგორიცაა რკინის, ალუმინისა და ფოსფორმჟავა უხსნადი შენაერთები), თან ახლავს წარმოების შეძლებ პროცესებს, ღვინომჟავა გადაჰყავს იზომერებში, უარესება ჭრისტალიზაციის პროცესი და მიიღება უხარისხო პროცესი.

გამთიშველ აპარატში ზედმეტი კირის განეიტრალუებაზე ხარჯება ნორმაზე მეტი გოგირდმჟავა.

ზედმეტი თაბაშირის წარმოქმნის გამო დიდდება გასაფილები მასა, უარესდება ფილტრაციის პროცესი, იზრდება დანერგები და მცირდება წარმოების გამტარუნარიანობა. ზემოაღნიშნული უარყოფითი მიზეზების გამო ღვინომჟავა კალციუმის რეაქცია უნდა იყოს სუსტი მჟავა ან ნეიტრალური და არავთარ შემთხვევაში — ტუტე, რომლის PH უნდა იყოს 5—6-მდე.

როცა სოდა ზედმეტი ოდენობითაა, ქლორკალციუმით განეტრალუების შედეგად მიიღება ცარცი, რომელიც დაილექტა ღვინომჟავა კალციუმთან და დაანაგვიანებს მას.

თუ დაუთხვენელი სოდა მოხვდა ხსნარში, ვერ მოასწრო გამსნა და რეაქციაში შესვლა — გაყვება ღვინომჟავა კალციუმს და აუარესებს მის ხარისხს.

ლვინის ქვა და მისი შეგროვების ზესტანი

ლვინომჟავას წარმოებისათვის ძვირფასი ნედლეულა ლვინის ქვა ანუ ლვინომჟავა კალიუმის მარილი. მისი ემპორული ფორმულაა $KHC_4H_4O_6$, ხვედრითი წონა — 1,956 მოლეკულური წონა — 188.

ქმიურად სუფთა ლვინის ქვა ლვინომჟავას შეიცავს 79,78% გამომდინარე შემდეგი გაანგარიშებიდან:

ლვინის ქვის მოლეკულური წონა 188,

ლვინომჟავას „ „ 150,

$$\text{გ. ი. } 188 - 150 \quad X = \frac{150 \cdot 100}{188} - 79,78\%.$$

ლვინის ქვა სუსტი მჟავე გემოს რომბისებრი თეთრ კრისტალია. კრისტალურ წყალს არ შეიცავს. ტემპერატურა მატებასთან ერთად მატულობს მისი ხსნაღობა წყალში (ნ. გ. ლაშვილის მონაცემების მიხედვით):

0°	იხსნება	32	გ/ლ
30°	„	9	„
60°	„	24	„
90°	„	58	„
110°	„	82	„
120°	„	106	„

სპირტის კონცენტრაციის მატებით ლვინის ქვის ხსნაღობა მცირდება. სწორედ ეს თვისება უწყობს ხელს ლვინის ქვა გამოკრისტალებას ლვინოდან. ხის კასრებში ლვინის ქვა გამოკრისტალდება კედლებზე, ხოლო ცემენტის ბუტებში და


ღვინის ქვის ხსნადობა გ-ბით 100 მლ სპირტზე დანარში

სპირტის შემცველობა 0/0-ობით	0	5	10	20	25
	5°	10°	20°	25°	
0	2.655	3.422	5.100	5.677	
5	2.261	2.654	3.804	4.510	
10	1.504	1.970	2.914	3.422	
15	1.160	1.528	1.559	2.330	
25	0.652	0.921	—	1.428	

ხის ქვევრებში — უფრო მეტად ფსკერზე. ამიტომაა, რომ ციმენტის ბუტიგისა და თიხის ქვევრების ლემი უფრო მდიდარია ღვინომჟავა შენაერთებით, ვიდრე კასრების ლექი.

ღვინის ქვის კრისტალის სისქე დამოკიდებულია: 1. ღვინში სპირტის შემცველობაზე, 2. ღვინის შენახვის ხანგრძლივობაზე და 3. ღვინის საცავის ტემპერატურაზე. თუ ღვინო დიდი ტემპერატურის ქასრებში დუღს, ის ნელა ცივდება და კასრის კედლებზე გამოიყოფა მსხვილი კრისტალები, ხოლო თუ ღვინო პატარა ზომის კასრებში დუღს, სწრაფად ცივდება, ღვინის ქვა გამოიყოფა წვრილი ფხვნილის სახით, რომელიც ილექტება ფსკერზე. ამ შემთხვევაში კედლზე ჩჩება უმნიშვნელო კრისტალები.

ღვინოდან ღვინის ქვის მთლიანად გამოკრისტალებას ესა-



ღვინის ქვის კრისტალები.

ჭიროება 2—3 წელი. 100 ლიტრი ღვინო წელიწადში იძლევა 190—250 გ ღვინის ქვას.

ღვინის ქვას ჰყოფენ ორ ხარძხად: პირველი ხარძხის კრისტალები, რომლებიც ჭურჭლის კიდლებზე გამოიყოფა 60 % -ზე მეტ ღვინომჟავას შეიცავს, ხოლო მეორე ხარძხის, რომლებიც ქვევრებში და ცემენტის ბუტებში გამოიყოფა უფორმო კრისტალებია და ღვინომჟავას 50—60 %-მდე შეიცავს. ღვინომჟავა ნედლეულში ღვინის ქვის შემცველობა 20—25 %-მდეა.

ღვინის ქვის მიღების საკითხი ღვინის ქარხნებში ნაკლებ ორგანიზებულია. მის შეგროვებას აქვს შემთხვევითი ხასიათ



ეფექტის ან კასრების შეკვეთების დროს. მისგან არ ამზადება უცნობო ლინომებავა კალციუმის მარილს და ასე იყარგება ნიდლების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

არსებობს ღვინის ქვის შეგროვების რამდენიმე ხერხი: ფარებში ჩაუშვებენ 2,5—3 მ სიგრძის სპეციალურ ჭაჭვს, მეტელსაც ყოველ რგოლთან აქვს 8 კბილანა. ჭაჭვს წო ბოლოთი ამაგრებენ კასრის საცობს, მეორე ბოლოს კი აგდებენ კასრში, და ანჯლევენ 10—15 წუთს. შედეგში შიგ ჩაასხამენ 2 დალ-მდე ცივ წყალს, ცოტას შეანგრინენ და გადმოლვრიან ჭურჭელში, ასე რეცხავენ 2—3-ჯერ. მარეცს წყალს აგროვებენ, 1—2 საათს აყოვნებენ შემდგარეთა წყალს მოხსნიან და რეცხავენ მომდევნო კასრს, ხოლო ალექსილ ღვინის ქვას აშრობენ. ამ წესის უარყოფითი მხარეს არის, რომ კასრში მაინც რჩება მცირე ოდენობის ღვინის ქვა.

2. უკეთეს შედეგს იძლევა ჭურჭლის გახსნა და გამოფხევა. ეს ხის ბუტებში ჩადის მუშა, რომლებიც სპეციალური საფურით ან დარტყმით აცლის ღვინის ქვას. ბუტი წინასწარუნდა ჭმოწმდეს ნახშირორჟანგის არსებობაზე, რისთვისაც ანთერილ სანთელს გრძელი ჭოხით ჩაუშვებენ შიგ თუ ჩაქრა ჩასრულა არ შეიძლება.

მეღვინეობაში კასრებიდან ღვინის ქვის მოცილება სავალ-ებულოა, რადგან იგი შესაძლოა ღვინის ავადმყოფობის კომწვევა ბაქტერიათა გაგრცილების წყარო გახდეს.

3. იმ ქარხნებში, სადაც ორთქლის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს, კასრში ჩაასხამენ 2 დალ-მდე წყალს და მოწვევით ადულებენ. საცობს დაახურავენ და ანჯლრევენ 10 წუთს. შემდეგ განარეცს წყალს შეაგროვებენ თავლია ჭურ-



ჭელში და აყოვნებენ 3—4 დღეს. მოხსნილი წყლები გამოკრისტალური ცხავენ კასრების მომდევნო პარტიას, გამოკრისტალური ლვინის ქვას კი აშრობენ.


4. იმ ქარხნებში, სადაც ორთქლი აქვთ, აკეთებენ ტის რამდენიმე მეტრი სიგრძის ღარს, შიგ ათავსებენ რეზ მილს, რომელსაც ქვემოდან ამოშვერილი აქვს რკინის მილი ღარზე 10—15 სმ-ს აცილებით. რკინის მილი შეერთებულ ორთქლის ხაზთან. ღარზე ერთდროულად ათავსებენ რამდენ მე კასრს და შეუშვებენ ორთქლს, რომელიც ხსნის კადლებზე ლვინის ქვას. კონდენსირებული ორთქლი, რო ლიც გამოდის კასრებიდან, საერთო ღარით მიდის შემდეგ ვებელ ჭურჭელში, სადაც ცხელ მდგომარეობაში ვანერიულებთ ქლორკალციუმით (ყოველ 50 დალ კასრის ნარეცემატება 300 გ CaCl_2 და ცარცი. ცარცის მიმატება ვწყვეტ მაშინ, როდესაც ხსნარის ზედაპირზე მცირება ღდენობით წარმოიშობა ქაფი).

რეაქციის დამთავრებას ვამოწმებთ კონგრს ქალალებს ხსნარს ვაყოვნებთ 2—3 საათით, რათა დაილექოს კალციუმი მარილი. შემდეგ გადავლვრით, ხოლო დალექილ ლვინობების მარილს ვრეცებავთ და ვაშრობთ.

ამ წესის უპირატესობა ის არის, რომ ერთდროულად რმოებს ლვინის ქვის მოცილება კასრებიდან და მისგან რენმეუავა კალციუმის მიღება. ამის პარალელურად მუშავდება კასრი ორთქლით და ისპობა მიკროორგანიზმები, რაც შემცირების თვალსაზრისით აუცილებელ საჭიროებას წარმოგენს. თუ შემგროვებელ ჭურჭელში არ გავანეიტრალუებთ, მშინ დავაყოვნებთ 3—4 დღეს. შემდეგ ხსნარს გადავლობოთ ხოლო ლვინის ქვას შევაგროვებთ და გავაშრობთ.


კასრის განარჩევი ხსნარისგან ღვინომჟავა კალციუმის მიღება სოდის გამოყენებით

დასახელებულ მეთოდთაგან უპირატესობით სარგებლობს მრის განარჩევი ხსნარიდან ღვინომჟავა კალციუმის მიღება სოდის გამოყენებით. ამისათვის 1 დალ წყალში გახსნიან 250 გ სოდას Na_2CO_3 . ამ წესით შეზავებულ 2 ვეღრო მნარს ჩასხამენ კასრში, გააცხელებენ აღულებამდე, დააცო-
 შნ საცოშს და კასრს ანგლორევინ 10 წუთს. ამ დროს კასრში ასებული ღვინის ქვა შევა რეაქციაში სოდასთან და წარმოი-
 შება ადვილად ხსნადი ღვინომჟავა-კალციუმ-ნატრიუმის შენადი სეგნეტის მარილი:



300 გ ღვინის ქვის გასახსნელად საჭიროა 100 გ სოდა. სა-
 ჭიალო ტევალობის კასრი რომ გაირეცხოს, საჭიროა 100—150 გ სოდა.


სჭირო სოდის რაოდენობაც დამოკიდებულია კასრში ღვი-
 ნის შენახვის ხანგრძლივობაზე. თუ კასრის გასარეცხად ვიხ-
 მარეთ ზედმეტი სოდა, მასზე ქლორკალციუმის დამატებისას უ-
 სრმოიშობა ცარცი და გააუარესებს მიღებულ ღვინომჟავა-
 კალციუმს. ამიტომ უნდა ვიცადოთ, სოდა საჭირო ოდენობათ დავაძატოთ.



სოდის საკმარისობას ამოწმებენ მარილმჟავათი. სინჯარაში მსამენ 5 მლ ხსნარს უმატებენ 0,5 მგ მარილმჟავას. თუ ქაფი კარმოილვარა სინჯარიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ სოდა დიდი ოდენობითაა მეტი და შეიძლება ამავე განარჩევი ხსნარით



გაირეცხოს მეორე კასრიც, ხოლო თუ ქაფი 2—3 უნდა გაიმარტინოს მოიშვა, მასში სოდა უმნიშვნელო რაოდენობით ყოფილ მეტი და შეიძლება დაემატოს ქლორკალციუმი. იმ შემთხვევაში, თუ სოდა დიდი ოდენობითაა მეტი და ხსნარი არ გვჭირდება შემდეგი კასრის გასარეცხად, მაშინ სოდის რაოდენობა ამციერდენ მარილმჟავათი. ისე რომ ხსნარს ოდნავ ტუტე რეაცია უნდა შეჩრჩეს. თუ HCl დავამატეთ ზედმეტი ოდენობით, სადაც სეგნეტის მარილს და კვლავ მივიღებთ ღვინის ქვას ამით გაეზრდით დანაკარგიშს. მაშასადამე, რეაქციაში ყოვლათვის ზუსტი ოდენობით უნდა შევიტანოთ ქიმიკურები.



სოდის დასაშვებ ოდენობამდე განსაზღვრის შემდეგ ხსნაზე ვაცხელებთ 60—70°-მდე და ვამატებთ ქლორკალციუმი. თოვლის კასრის განარეცხება — 100—150 გ ქლორკალციუმი. მისი საკმარისობა მოწმდება მუაუნმუავა ამონიუმით. ამისავის სინჯარაში ვასხამთ 5 მლ ხსნარს და ვუმატებთ მუაუნმუავა ამონიუმის 10 %-იან ხსნარს 2 მლ-მდე. თუ მოგვცა რძეს მაგვარი შეფერვა, ქლორკალციუმი საკმარისია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვიძლია დავუმატოთ. როცა რეაქცია დამთარდება, დავაყოვნებთ 2—3 საათით დასალუქად. ხსნარს გადავრით, ხოლო ღვინომჟავა კალციუმს გავრეცხავთ და გაუშრობთ.

დანაკარგების მთავარი მიზანები

1. მინერალური მუავათი ლექის გადამუშავებისას, თუ მნერალური მუავა (H_2SO_4 ან HCl) საჭირო ოდენობით არაა, მშინ გადასამუშავებელ ლექში არსებული ღვინის ქვა არ დარღება და გადასაღვრელ ხსნარს გაჰყვება.



2. თუ მინერალური მუჟავით დამუშავებული მასა გულმარიჯისა და კონკრეტული არ გავრცელეთ, ღვინომუჟავა გადასაღვრელ ხსნაზე მცვება და გაიზრდება დანაკარგი.

3. ღვინომუჟავა კალციუმის მისაღებად ნეიტრალიზაცია უწდა ვაწარმოოთ რაც შეიძლება მაგარი და არა სუსტი ხსნა-ჩბით, რაღან სუსტ ხსნარებში ღვინომუჟავა კალციუმის სნაღობა მეტია, რაც დანაკარგს ზრდის. ამიტომ ანეიტრალებენ მხოლოდ პირველ ხსნას, ხოლო სხვა ხსნარებს იყენებენ ასე ბუზე დასასხვამად.

4. თუ ღვინომუჟავა კალციუმის შრობა გახანგრძლივდა, მექონოლგანიზმები ასწრებენ განვითარებას, რაც იწვევს ღვინომუჟავა კალციუმის დაშლას და ზრდის დანაკარგებს, ამის თავიდან აცილების მიზნით ღვინომუჟავა კალციუმი მიღების-თანავე იგზავნება საშრობში.

დეკანტაციის მეთოდის გამოყენებისას დანაკარგები ნაწილდება დაახლოებით შემდეგ პროცესებზე: 1. როცა გოგორდმუჟავა ზედმეტი ოდენობითაა, ა ღვინომუჟავა გაღადის იზმერებში 2—5 %-მდე; 2. მინერალური სიმჟავის ნაკლებობისას ღვინომუჟავას შენაერთთა ერთი ნაწილი (1—3 %-მდე) დაუშლელი რჩება; 3. ღვინომუჟავა კალციუმის ერთი ნაწილი (10—12 %-მდე) ნეიტრალიზაციისას ხსნად მდგომარეობაშია; 4. ღვინომუჟავა კალციუმი შრობისას იკარგება 1 %-მდე; 5. ხსნარების ჩამოსხმა-გაღატანისას იკარგება ღვინომუჟავას 1—3 %. სულ სავარაუდო დანაკარგები 15—23 %-ს შეადგენს.

ეს მონაცემები მერყეობს და იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტექნიკითაა აღჭურვილი წარმოება, რამდენად სწორად მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესი. ამასთან დი-რიმნიშვნელობა აქვს გადასამუშავებელი ნედლეულის ხარისხს.



თუ ნედლეული არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მუშავების შედეგად დანაკარგები შესაძლოა ორჯერ გაიზარდოს.

უჯრედანას ზედმეტობისას ღვინომჟავა კალციუმი ცუდად ირეცხება, არ გადის წყალი გასარეცხ ფენაში და რჩება გაურეცხავი. ასეთი ნედლეული შემდეგი გადამუშავებისათვის მიდის ღვინომჟავას წარმოებაში. ღვინომჟავა კალციუმის გათიშვის შემდეგ მასა გაიშვება ნუქფილტრზე ან დოლინ ვაკუმ-ფილტრზე გასარეცხად, სადაც უჯრედანას დიდი ზედმეტობისას მასის ფილტრაცია თითქმის წყდება.

ღვინომჟავა კალციუმის მარილის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან უჯრედანას ზედმეტობა საგულისხმო ფაქტორია, მისი თანხლებისას ღვინომჟავა კალციუმის გათიშვის ღროს სამუშაო მეტად შრომატევადია, დიდად ხანგრძლივდება და ძნელდება ფილტრაციის პროცესი, გარეცხვაზე ისაზება ზედმეტი წყალი, რის შედეგად განზავდება ხსნარები და იზრდება დანაკარგი. ყველაფერ ამას თავიდან ავიცილებთ, თუ გასანეიტრალებელ ხსნარებს ძალიან სუფთას მოჰსნით. მღვრიე ხსნარი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადავიტანოთ ნეიტრალიზატორში, რადგან თუ უჯრედანა მოხვდა გასანეიტრალებელ ხსნარში, ნეიტრალიზაციის შემდეგ ის დაილექტება ღვინომჟავა კალციუმთან ერთად და ეცმა ღვინომჟავა კალციუმის ხარისხიც. შემდეგი გადამუშავების პროცესებში კი იწვევს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, რის შედეგადაც იზრდება დანაკარგები.

ღვინომჟავა კალციუმის მარილში ზოგიერთი მინარევის უარყოფითი ზედები



1. ღვინის ქვა ზრდის ღვინომჟავა პროდუქციის ნაცრია-
ნობის და არასტანდარტულს ხდის.
2. პროდუქცია მღვრიეა და ცუდად ხსნადი.
3. ღვინომჟავა ხსნარებში ზედმეტი გოგირდმჟავა ღვინის
ჭავთან წარმოშობს გოგირდმჟავა კალიუმის ხსნად მარილს,
რომელიც შესაძლოა გაჰყვეს მზა პროდუქციას და გააუარე-
სოს მისი ხარისხი.
4. ღვინომჟავა კალციუმის გათიშვა მიმდინარეობს კონ-
ცენტრულ ხსნარებში. თუ იგი ღვინის ქვის მინარევს შეი-
სყვს, გოგირდმჟავა ძნელად შედის რეაქციაში ღვინის ქვას-
თან, ფილტრაციის დროს რჩება თაბაშირთან და ვყრით, რაც
ხდის დანაკარგებს, ხოლო ნაწილი, სანამ ცხელია გასაფილ-
ებრი მასა მიჰყვება ღვინომჟავა ხსნარებს და ანაგვიანებს მას.
5. ღვინის ქვის შერევით ღვინომჟავა კალციუმის მა-
რილში ხელოვნურად იზრდება სიმჟავის პროცენტი, რადგან
ღვინის ქვაში მასთან შედარებით ორჯერ მეტი სიმჟავეა.
6. ღვინომჟავას წარმოებაში მოხვედრილი ღვინის ქვა,
რომელიც მზა პროდუქციას მიჰყვება და აუარესებს მას,
უნდა გამოვყოთ მისგან და ისევ გადავამუშავოთ. ამას
ქაჭიროება დიდი დრო, ირლვევა ტექნოლოგიური რეჟიმი,
ზოულდება მუშაობის პირობები და იზრდება დანაკარგები.
- ამრიგად, თუ ღვინომჟავა კალციუმს შევიტანო ღვინის
ქვის მინარევით. ხელოვნურად გავაუარესებთ პროდუქ-
ციის ხარისხს, დავარღვევთ ტექნოლოგიურ რეჟიმს, გავა-
ზულდებთ მუშაობის პირობებს. ასე რომ არ მოხდეს, ღვი-



ნის ქვის მინარევიანი ღვინომჟავა კალციუმი გადამუშაოთ, ღვინის ქვა გარდავქმნათ კალციუმის რილად და სუფთა ნედლეული შევიტანოთ ღვინომჟავა წარმოებაში. დაუშვებელია მათი ერთმანეთში არევა, ასეთ ღვინომჟავა კალციუმი მიღებულ უნდა იქნეს, როგორც ღვინის ქვა დამატებითი პროცესების ჩასატარებლად.

ღვინომჟავა ნედლეულის ზეზუთვა, შენახვა და ტრანსპორტირება

ღვინომჟავა ნედლეული იფუთება მხოლოდ ჯვალის ქალალდის ტომრებში არა უმეტეს 60 კგ-ისა თითოეულში.

ტომარაზე მიკერებულ ნაჭრის იარლიყზე ჩამოურეცა ვი საღებავით კეთდება შტამპი შემდეგი აღნიშვნებით:

- ა) გამგზავნი საწარმოს დასახელება და ადგილმდებარება;
- ბ) ღვინომჟავას დასახელება და ხარისხი;
- გ) პარტიის ნომერი;
- დ) ნედლეულის დამზადების თარიღი;
- ე) ბრუტო, ტარა და ნეტო კგ-ობით;

ღვინომჟავა ნედლეული უნდა ინახებოდეს მშრალ თავსში, ხის თაროებზე, მისი გადატანა შეიძლება დახურული ავტომანქანებით ან ვაგონებით, კონტეინერებით, ტენიანი ან გარეშე სუნის მქონე ტვირთისაგან იზოლირებულად.

საანალიზოდ სინჯის აღება ხდება გაგზავნამდე ორი დღით ადრე. ყოველი ტომრიდან, თუ პარტიაში 100 ცალი ნაკლები ტომარაა ან ყოველი მეხუთე ტომრიდან, თუ პარტიაში 100 ტომარაზე მეტია.



სინჯის ალება ხდება მხოლოდ ერთი სახის ნედლეულის შემცირების და სხვადასხვა სახის ნედლეულის სინჯის შერევა დაუშენებითოთა ბეჭდია.

ტომრის ძირის, შუა და ზედა ნაწილიდან იღებენ 50 — 100 გ-მდე ნიმუშს. ალებულ ნიმუშებს კარგად ურევენ, ღებენ 400 გ და ათავსებენ ორ პარკში 200—200 გ-ის რაოდებობით. პარკები გაიკერება და ილუქება. ერთი ნიმუში ლაბორატორიაში რჩება ანალიზისათვის, მეორე კი იგზავნება ნედლეულთან ერთად. პარკებს უკეთდება წარწერა: გამგზავნისაწარმოს დასახელება, აღგილმდებარეობა, ნედლეულის სხეობა და ხარისხი, პარტიის ნომერი, წონა კგ-ობით, ზედნაფების ნომერი, ტვირთის გაგზავნის თარიღი და მიმღებისაწარმოს დასახელება.

ნედლეულთან ერთად იგზავნება სერტიფიკატი, თითოეულ პარტიაზე და სახეობაზე, ყველა ტექნიკური მაჩვინებლის აღნიშვნით.

ღვინოებავა კალციუმში ზოგიერთი მაჩვენებლის განსაზღვრა

1. ღვინომჟავა კალციუმი უნდა იყოს ერთგვაროვანი ფხვნილი, გოროხები თითის დაჭერით აღვილად უნდა იმსუბოდეს. ლია ნაცრისფერიდან მოყვითალო ფერში უნდა გადადიოდეს. (რუხმოშაო ფერში გადასვლა მაჩვენებელია ცარცის ან კირის აშკარა სიჭარბისა და ნედლეული არაკონტიციურია), არ უნდა ემჩნეოდეს ღვინის ქვის კრისტალები და კირის ან ცარცის თეთრი დაუშლელი ნაწილაკები. თუ ნედლეული ძნელად იფხვნება ეს გამოწვეულია პექტი-



ნების და სხვა ამორფული ორგანული ნივთიერებების
წებოვანი მოქმედებით, როგორიცაა: რკინის და პლუმინის
უანგბადოვანი შენაერთები და საფურის უჯრედანას მინარე-
ვი. 2 გარეცხვის შემოწმება. I. იღებენ 50 გ მშრალ ღვინო-
მჟავა კალციუმს, რომელიც მუშავდება 25 მლ გამოხდილ
წყლით. რეფრაქტომეტრში ფილტრატის სხივის გარდატე-
ხა უნდა იყოს 1. 335. წინააღმდეგ შემთხვევაში ნედლეული
არაკონდიციურია; II. იღებენ 20 გ წმინდად დაფქვილ ღვინო-
მჟავა კალციუმს, ათავსებენ 50 მლ-იან ცილინდრში, უმატე-
ბენ 20 მლ გამოხდილ წყალს და ანგლრევენ. დადგამენ ა
წუთით. წყლიანი ფენა მკვეთრად უნდა გამოიყოს ნალე-
ქისაგან, იგი უნდა იყოს გამჭვირვალე და სუთთა, მინარე-
ვების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნედლეული არ-
კონდიციურია. 3. არეს რეაქციის შემოწმება. იღებენ 10გ
დაფქვილ ნედლეულს, უმატებენ 20 მლ გამოხდილ წყალს
გააცხელებენ და შეანჯლრევენ, რომელშიც დაასველებენ
უნივერსალური ინდიკატორის ქაღალდის ზოლს, ამოიღ-
ბენ, ოდნავ შეაშრობენ ჰაერზე და შეადარებენ pH-ის სკა-
ლას. ხსნარის pH-უნდა მერყეობდეს 5—6-მდე. თუ pH
4-მდეა, იმის ნიშანია, რომ მასში ღვინის ქვა ურევა.
4. ცარცის სიჭარბის შემოწმება. სინჯარაში ათავსებენ 10
გ ღვინომჟავა კალციუმს, უმატებენ 20 მლ გამოხდილ წყალს
შეანჯლრევენ, უმატებენ 2 მლ 20%-იან მარილმჟავას და
ქვლავ შეანჯლრევენ, დადგამენ და წარმოშობილი ქაფის
სიმაღლეს გაზომავენ. თუ ქაფის სიმაღლე 1 სმ-ს აღემატება,
ნედლეული ზედმეტ ცარცის შეიცავს და არა კონდიციურია.
5. უჯრედანას განსაზღვრა. საანალიზო მასალას ფქვავენ,
ღვინის ქვისა და ღვინომჟავა კალციუმის ნედლეულიდან



ოლებენ 6—6 გ-ს, სხვა დანარჩენი სახის ნედლეულიდან 2—12 გ-ს. ათავსებენ ფაიფურის ჭამზე ან 100 მლ-იან ჭიქაში, უმატებენ 18 მლ 20%-იან მარილმჟავას (20%-იანი ბარილმჟავის მისაღებად კონცენტრულ მარილმჟავას 55 მლ-ს ათავსებენ 100 მლ-იან საზომ კულაში და გამოხდილი წყლით ავსებენ ნიშანხაზამდე) და მინის ბრტყელთავიანი წყირით 10 წუთს კარგად სრესენ. თუ სქელი მასა მიიღეს, კიდევ უმატებენ 7 მლ მარილმჟავას და 25 მლ გამოხდილ წყალს. აურევინ, გასრესენ და უდანაკარგოდ გადაიტანენ 200 მლ-იან საზომ კულაში და შეავსებენ ნიშანხაზამდე. სევ აურევენ და ფილტრავენ წინასწარ აწონილ მშრალ ფილტრში. შემდეგ ფილტრს აშრობენ $80-100^{\circ}\text{გ}$ ერთი საათის განმავლობაში მუდმივი წონის მიღებამდე. ფილტრის წონას გამოაკლებენ და უჯრედანას წონას შემდეგი ფორმულით ანგარიშობენ:

$$X = \frac{a \cdot 100}{b}$$

სადაც X — არის უჯრედანას წონა $\%$ -ობით

a — ნალექის სუფთა წონა გრამობით

b — ღვინომჟავანედლეულის პირველადი წონა გ-ობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადასამუშავებელ ნედლეულში განსაზღვრულია სიმჟავის შემცველობა, მაშინ ქიმიკატების ხარჯვის ნორმას თუ ვიანგარიშებთ სიმჟავის შემცველობის მიხედვით, კარგ შედეგს მივიღებთ. როცა მიახლოებით

յիմոյաթեծուն եարշատուն բորմեծուն

յիմոյաթեծուն	դասանելեծուն	1 չջ զգոնուն սօմյացընէց չջ-ոռ	100 չջ զգոնուն սօմյա- ցընէց չջ-ոռ
ցոցորդմյացա (աչասեն նշոտո)		0,7	70
ցոցորդմյացա (ցլուցերուն նշոտո)		0,9	90
ցոցորդմյացա (յամերշլուն նշոտո)		1	100
32 %-ոճուն մարոլմյացա		1,12	120
մշհալու ցարցու (դապյեցուն)		0,66	66
յորու հաշմյհալու		0,5	50
յլորկալցունմու (յրուսթալու)		0,5	50—67
ևոճա		0,7	70

Ցենունա: հագուստ ցարցու և յորու հաշմյհալուն պնդած ան շյուն-
լունա ոյուն օդյալուրալ սպատա, մյերու օնարշեծա.

յանցարունուն մատ սափուրու հառցենունաս, մանուն սատանագու ոն-
դոյաթորեծուն սնդա նշյամովմուն հյայցուն սֆորեց դածո-
լունցա և սափուրու յիմոյաթեծուն սայմանուն. մատ սափուրու հառ-
ցենունաս յամովմյեծուն սատանագու ոնդոյաթորեծուն. լցոնոմյա-
ցա ենարեծ մոներալուր մյացաս յամովմյեծուն մյետոլցուոլց-
քուն, եռլու նյութուրալունչացուն յոնցու թուղունուն.

մյետոլցուոլց-քուն ենարեծուն դասամիացեծ լուն 2 գ մյետոլ-
ցուոլց-քուն ունենուն յենուն 1-լուն 60°-ոճուն յամունուն
թյալնուն.

զգոնոմյացա ենարեծ մյետոլցուոլց-քուն լցուունուն լունի

ფერს, მინერალური მჟავას ოდნავი ზეღმეტობისას ლურჯი ფილტრი ფერი გადადის მტრედის ფერში, ხოლო 1 %-ით ზეღმეტობისას მტრედის ფერი გადადის მწვანე და ბოლოს მოყვითალო ფერში.

კონგოს ხსნარის მისაღებად 1 გ კონგოს ფხვნილს ვხსნით 300 გ გამოხდილ წყალში. კონგო ნეიტრალურ და ტუტე სსნარებში ფერს არ იცვლის. ღვინომჟავა ხსნარებში კონგოს წოთლი ფერი გადადის მუქ და ბოლოს შავ ფერში.

ღვინომჟავა ხსნარების ნეიტრალიზაცია უნდა დავამთავროთ იმისდა მიხედვით თუ რომელი მასალიდან ვამზადებთ ღვინომჟავა ნედლეულს.

ლექის ბუყის ნეიტრალიზაციას ვამთავრებთ მაშინ, როცა კონგო მიიღებს ოდნავ მუქ ფერს.

ჭაჭის ბუყის ნეიტრალიზაცია მთავრდება მაშინ, როცა კონგო მიიღებს უფრო მუქ ფერს, ხოლო ღვინის ბუყის ნეიტრალიზაციას ვწყვეტო მაშინ, როცა კონგო მიიღებს კიდევ უფრო მუქ ფერს.

ამ ინდიკატორებით სარგებლობისას ცდომილების თავიღან აცილების მიზნით უკეთესია სასინჯი ხსნარის გაფილტვრა.

ინდიკატორებისაგან წინასწარ დამზადებული ქალალდი ცდომილებას იძლევა და ამიტომ მისი გამოყენება რეკომენდებული არ არის.

ლიტერატურა

მოდებაძე კ. ყურძნის წვენიდან უალკოპოლო პროდუქტთა დამზადება და მეღვინეობის მონარჩენთა გადამუშავება, 1956

ლვალაძე ვ. ტებილსა და ლვინოში არსებული ორგანული მუსები, 1946

ლაშხია მეღვინეობაში ხმარებული დამხმარე მასალები და მათი ანალიზი, 1950

ლაშხია ყურძნის პროდუქტთა ანალიზი, 1955

გელაშვილი ნ. მეღვინეობა, ნაწილი 1 და 2, 1961

გელაშვილი ნ. შამპანურის წარმოებაში რქაწითელის გამოყენების საკითხისათვის (იხ. შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, 1959).

ზაურაშვილი მ. ლვინოში ტექნიკური ინსტიტუტის შრომები, 1964

გველესიანი ე. პ. ლვინის გაწმენდა ბენტოვნიტური თიხებით და ნატრიუმის ალგინატით, 1958

გერიძე გ. კახური ლვინოების დაყენება, 1957.

გერიძე გ. ლვინის დაყენება, მოვლა და შენახვა, 1958

ჩეგიძე გ. ძმრის წარმოება, 1957

ავალიშვილი შ. ლვინის ტექნიკური, 1960

ჩეგიძე ზ. კირმევას დამზადება მეღვინეობის ნარჩენებიდან, 1958

მოსიაშვილი გ. ლვინის ავაღმყოფობანი, 1957

რამიშვილი მ. ა. მეცენატეობა, 1958

გერიძე გ. მეცნიერების მიღწევები საქართველოს ლვინის მრეწველობაში, 1962

Ч ა უ ტ ა შ ვ ი ლ ი მ. მ ე ვ ე ნ ა ხ ე მ ბ ა - მ ე ღ ვ ი ნ ე მ ბ ი ს მ ე მ რ ა დ ი ნ ე ფ ლ ე շ -
 ლ ი ს გ ə ღ ə მ ə მ ə შ ə ვ ə გ ə ბ ə , 1968

Вулихман А. А. и Миркинд А. Л. Виннокислые соединения и их получение из отходов переработки винограда, 1940.

Вулихман А. А. и Миркинд А. Л. Производство виннокислотного сырья, 1950.

Вулихман А. А. и Миркинд А. Л. Получение виннокислых соединений из отходов виноделия, 1956.

Гамбашидзе А. К. Оборудование винодельческого производства, 1960.

Ткачук Содержание винной кислоты в отходах виноделия и виннокислотном сырье Азербайджана. Виноделие и виноградарство СССР, 1932, № 5.

Элдаров И. Г. Новый способ переработки винных дрожжей — Вестник виноделия виноградарства и виноторговли СССР, 1931, № 4.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლვინომჟავას მიღების წყარო და მისი გამოყენება	3
ლექისგან ლვინომჟავა კალციუმის მიღების მეთოდები და საჭირო	
ქიმიკატების რაოდენობის განსაზღვრა	4
ცარცისა და კირის მომზადება	7
ლვინის ლექის დახასიათება და მისი შენახვის პირობები	8
ლექის გამონახადი ბუყის გადამუშავება	10
ნეიტრალიზაცია	18
ლვინომჟავა კალციუმის გარეცხვა და შრომა	22
ლექისგან ლვინომჟავა კალციუმის მიღება ნეიტრალური მეთოდით	
ლვინომჟავა კალციუმის მიღება ხმელი ლექისგან	26
ჭაჭის დახასიათება და მისი შენახვის პირობები	29
ჭყლის სიხისტის უარყოფითი მოქმედება და მისი თავიდან აცილება	36
ჭყლის სიხისტის განსაზღვრა	41
ჭყლის შერბილება ონმცვლელი ფისებით	43
ჭყლის საჭირო რაოდენობის განსაზღვრა	45
ჭაჭისგან ლვინომჟავა კალციუმის მიღება ნეიტრალური მეთოდით	
ჭაჭისგან ლვინომჟავა კალციუმის მიღება სოდის მეთოდით	47
სოდის ზედმეტობის უარყოფითი მხარე და მასი თავიდან აცილება	50
ლვინის ბუყისგან ლვინომჟავა კალციუმის მიღება ნეიტრალური	
მეთოდით	58
ცარცის ნალექი	60
ლვინომჟავა კალციუმის ხარისხზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები	67
	68

ღვინის ქვა და მისი შეგროვების წესები	72
კსრის განარეცხი სსნარისგან ღვინომჟავა კალციუმის მიღება	
სოდის გამოყენებით	77
დანაკარგების მთავარი მიზეზები	78
ღვინომჟავა კალციუმის მარილში ზოგიერთი მინარევის უარყო- ფითი შედეგი	81
ღვინომჟავა ნედლეულის შეფუთვა, შენახვა და ტრანსპორტირება	82
ღვინომჟავა კალციუმში ზოგიერთი მაჩვენებლის განსაზღვრა	83
ლიტერატურა	88

340/1167.



Бариаб Виссарионович Багдavadze
Изготовление из отходов вино виннокислотного сырья
(на грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. ა. ლაშხი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. პაჭიორია
გამომუშები გ. ბენიძე
მხატვარი ტ. შეუილაძე
მხატვრული რედაქტორი ო. გესხი
ტექნიკური რედაქტორი ჭ. რთველიაშვილი
კორექტორი ნ. ჭყანია

გადაეცა წარმოებას 29/XII 69. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-70 წ.
ქაღალდის ზომა 70X108^{1/2} პირ. ნაცვლი თაბაზი 4,02 სააღრ. საგა-
მომცემლო თაბაზი 3,06. უე 01693 ტირაჟი 2.000. შეკვ. № 1632.
ფასი 11 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდებითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს
სტამბა № 10 ცხინვალი, მოსკოვის ქუჩა, № 5.

Типография № 10 Главполиграфпрома Государственного Комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати, Цхинвали,
Московская, 5.

